# ივერია

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული გამოცემა

№ 29

# IVERIA

*EDITION PÉRIODIQUE EN LANGUE GÉORGIENNE*

შინაარსი


ბრძოლა თავისუფლებისათვის. ალექსანდრე მანველიშვილი

„სტალინიზმის" არსება. ჯანრი კაშია.

ამერიკა 86 მიხეილ ქავთარაძე.

ოცდაექვსი მაისი ჯანრი კაშია.

ქართველ მოქანდაკე-ოქრომჭედლის წარმატება. პეტრე იბერი.

არდასაკარგავი დოკუმენტი.

პატარა შენიშვნები.

სამგლოვიარო.

ჟურნალის ფონდი.


JUIN 1986 PARIS

## ბრძოლა თავისუფლებისათვის

თავისუფლება ძვირფასი ცნებაა. ხოლო მრავალგვარ თაისუფლებათა შორისყველაზე მაღალი ღირებულებისაა ეროვნული თავისუფლება. ამბობენ: წარსული მომავლის წინასიტყვაობააო.აწმყოსა და მომავლის განსაზღვრა იმდენად არის სრულყოფილი, რამდენადაც მოცემული ერის წარსული ხანგრძლივი და მდიდარია. და ეს ქართველი ერის შესახებ ითქმის. ერის წარსულის სიმდიდრე, მხოლოდ მისი კულტურული, პოლიტიკური და მატერიალური ფაქტორებით არ განისაზღვრება, არამედ აგრეთვე — ყველა იმ უბედურებებით რაც მას თავზე გადახდენია.

სამიათასხუთასი წლია მანძილზე, მის ქარშხლიან ისტორიაში ყოველივე ეს განუცდია ქართველ ერს. ამაღლება და დაცემულობა. რამდენადაც დიდია ერის ცხოვრებაში ძნელბედობა, იმდენად ძლიერია მასში ინსტიქტი თავდაცვისა. თავდაცვისათვის ბრძოლაში კი იჭედება და მტკიცდება მისი სული, რომლის საბოლოო დამარცხება არ ძალუძს არავითარ ფიზიკურ ძალას.

რას გვსწავლის ჩვენი ისტორია. შეუდრეკელ და ადამიანის ძალისათვის აღმატებულ და დაუჯერებელ სიმხნეს, მაგრამ ნამდვილ სიმართლეს.განგებამ ჩვენს ერს იმთავითვე საარსებოდ მოუხაზა ისეთი სივრცე და შეუქმნა ისეთი გარემოება, რომ საუკუნეთა მანძილზე მის არსებობას ემუქრებოდნენ დაუსრულებელი რიცხვის ძალები. მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოს ძალიან ცოტა დრო რგებია მშვიდობისა და წყნარი ცხოვრებისათვის. ესეც შედარებითი იყო, რადგან საქართველოს თავის დიდების ხანაშიც არ ჰქონია სრული სიმშვიდე. იმ განსხვავებით რომ მატერიალურად, კულტურულად და პოლიტიკურად ძლიერი საქართველო არა მარრტო უმკლავდებოდა გარეშე მტრებს, თვით მიჰქონდა მათზე იერიშები და მთელ ქვეყანას აგრძნობინებდა რომ ის არ იყო დაბადებული სიკვდილისათვის.

უამრავი მტრების წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ11 13 საუკუნეებში საქართველომ გამარჯვებით დააგვირგვინა თავისი საქმე.

მეცამეტე საუკუნიდან საქართველოს კიდევ ერთი მტერი გამოუჩნდა, რომლის სახელიც კი უცნობი იყო აქამდე საქართველოსათვის. მონღოლთა ერთი საუკუნის ბატონობამ გაანადგურა საქართველო მატერიალურად, დასცა და დაქსაქსა ის პოლიტიკურად და შეარყია მისი სოციალური ცხოვრების ბუნებრივი განვითარება....

სასწაულებრივი იყო გიორგი ბრწყინვალის ხანა! ხანა მონგოლთაგან განთავისუფლებისა და ენერგიული ცდა ქვეყნის კვლავ აღდგენისა. ხანმოკლე იყო ეს დრო. მას მოჰყვა თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევები რამაც ჩვენი ქვეყანა სიკვდილის პირას მიიყვანა !...

როდესაც კითხულობთ ჩვენს ისტორიას: ჯალალ ედინი, ჩინგიზ ხანი, თემურ ლენგი, და სხ. და ითვალისწინებთ მათ დაუსრულებელ მხეცურ მოქმედებათ, პირდაპირ გიჭირთ დაიჯეროთ, რომ ყოველივე ეს სიმართლეა და რომ აღნიშნულ უბედურებათა შემდეგ შეიძლებოდა კიდევ ქართველებს თავიანთი არსებობა შეენარჩუნებინათ—თუნდაც მისი დაკნინებული სახით! მაგრამ როგორ არ დავიჯეროთ, რომ დღეს ჩვენ კიდევ ვარსებობთ და კვლავ ბედნიერ მომავალს შევცქერით!

თემურლენგს უთქვამს: მთელი ქვეყანა დავიპყარ და ქართველებს საყმოდ თავი ვერ დავადებინეო! ეს ყველაფერის მთქმელია და ქართველი ერის ასეთი ქედმოუხრელობისა და შეურიგებლობის შედეგია რომ დღესაც მთელი მსოფლიო თანაგრძნობას გვიცხადებს ჩვენს ბრძოლაში და მათ შორის არიან ადრინდელი ისტორიული მტრები საქართველოსი.

თემურლენგის შემდეგ კიდევ ახალი მტრები გამოუჩნდენ საქართველოს. ჯერ თავისი ჭრილობები მოურჩენილი არ ჰქონდა მას რომ კვლავ ახალი ჯოჯოხეთი შეუქმნეს. თურქეთ—სპარსეთის, ორი ახალი და ძლიერი იმპერიის კლანჭებში მოქცეულმა საქართველომ თავისი მოსახლეობის სამი მეოთხედი შესწირა რომ ერთი მეოთხედი გადაერჩინა და ერის მარადი არსებობა უზრუნველეყო.

სჩანს მაღალ ღმერთს არ ჰსურდა ჩვენი გაქრობა ამ ქვეყნად.

“რაცა ღმერთსა არა სწადდეს არ საქმნელი არ იქმნების„ (რუსთაველი).

მეჩვიდმეტე საუკუნე იყო ხანა, როდესაც საქართველოს კიდევ ერთხელ მოელოდა აღგვა პირისაგან მიწისა. მაგრამ განგებამ ეს არ ინება.

ხოლო მეთვრამეტე საუკუნით იწყებოდა მისი ახალი განთიადი. კვლავ იმედი მისი აღორძინებისა და თავისუფლებისა, მაგრამ ახლა ჩრდილოეთიდან წამოვიდა შავი ღრუბელი და უკვე მეორე საუკუნე იწურება და რუსეთის ბატონობას ბოლო არ უჩანს. არის ნიშნები რომ ახლაც, როგორც ყოველთვის, ქართულ მიწაზე მზე ამობრწყინდება.

პატარა ერის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო , ხელსაყრელი ვითარება. თუ არა მეთორმეტე საუკუნეში დასავლეთ–აღმოსავლეთის დატაკება, დავით აღმაშენებელი თავის დიდ მისიას ვერ შეასრულებდა.

მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენი ორი დიდი მტრის სპარსეთისა და ოსმალთა იმპერიების დაქანება იყო საუკეთესო პირობა საქართველოს კვლავ განახლებისა, მაგრამ ამ პერიოდში მას გზა გადაუჭრა რუსეთის დაპყრობითმა პოლიტიკამ.

პირველი მსოფლიო ომი და მისგან გამოწვეული კრიზისი რუსეთში, შემდეგ რევოლუცია განაპირობებენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ერთი საუკუნის რუსეთის ბატონობის შემდეგ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ჯერ კიდევ რუსეთის ბატონობის ქვეშ, დაქსაქსულ ფეოდალურ საქართველოში აღსდგა სულიერი, კულტურული და საზოგადოებრივი მთლიანობა. უცხო ძალის ბატონობის ქვეშ ქართველმა ერბა იგრძნო მის შვილთა შორის ერთობის აუცილებლობა. თუმცა სულიერად მთელი საქართველო ერთად იყო და ახლა დადგა დრო როდესაც ფიზიკურადაც ერთად უნდა ყოფილიყვნენ: დიდი ილიას მოწოდებას თავისუფლებისადმი საქართველოს ყოველი კუთხიდან ერთნაირად ეხმაურებოდნენ. ილია ქართველ ერს მუდამ მოაგონებდა სოლომონ ბრძენის სიტყვებს რომ ყველაფერს თავისი დრო აქვსო. ეს დროც დადგა. რუსეთის რევოლუციამ თავისუფლების განაღდების საშუალება მოგვცა. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში , მიუხედავად ქართველი ერის სულიერი სიმტკიცისა, მტერმა ნაწილობრივ მაინც დააზიანა ქართული სხეული და ზოგიერთი დაკნინებაც გამოიწვია მისი სულიერი ცხოვრებისა. მისი რუსიფიკატორული პოლიტიკით რუსეთი მიილტვოდა ქართველ ერში მოესპო და გაენადგურებინა ეროვნული მეობის მასაზრდოებელი ფესვები. გარყვნილება შეჰქონდა ქართულ ენასა და ადათ–ჩვეულებებში. სხვა და სხვა სოციალურ ფენებს ერთიმეორეს უსევდა. ერთმანეთს ჰკიდებდა მეზობელ ხალხებს და აგრეთვე ხელს უწყობდა ისეთი იდეების დანერგვას, რაც ერს ეროვნული ნიადაგიდან ამოაგდებდა. რუსეთი მაშინ, როგორც დღეს, სცდილობდა ჩვენი ერის გადაგვარებას. მის შერწყმას რუსის ერში. რომ ქართველი , ვითარცა ერი წაეშალა პირისაგან მიწისა. მართალია რუსეთმა ეს საბოლოოდ ვერ შესძლო, მაგრამ მან დიდი დაღი დაასვა ქართველი ერის სულიერ და ზნეობრივ ფიზიანომიას. ყოველივე ეს კი გამოაშკარავდა მაშინ, როდესაც დადგა დრო ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

ჩვენი მოწინავე საზოგადოების ერთი ნაწილი მოწამლული აღმოჩნდა რუსული იდეოლოგიით, რაც სხვადასხვა ფორმებში იხატებოდა. ზოგი მაღალ ჰუმანიურ იდეებს ქადაგობდა რომ დავრდომილნი სამოთხეში შეეყვანა , ზოგი ფანტასტიური თანასწორობის დამყარების ნუგეშითაბრუებდა საწყალ ხალხს და რაც მთავარია, თვით ქართველი ხალხის , ვითარცა ერის, უკვდავი არსებობის იდეა ჩრდილში იყო მოქცეული. ყოველივე ეს კი რუსეთის წისქვილზე უშვებდა წყალს. და ეს ფანატიკოსებისათვის გაუგებარი იყო. ყოველივე ეს მაშინ გამოჩნდა, როდესაც თავისუფლება კარზე მოგვადგა. ჩვენ ის ვერ დავაფასეთ. ვერ შევხვდით სათანადოდ მომზადებული. აღნიშნული წრეებისათვის ერი და მისი არსებობა კი არ იყო მთავარი საგანი ,არამედ ის, თუ როგორ იქნებოდა მოწყობილი საქართველო და რომელი წრე იქნებოდა მისი ჰორისუფალი. თვით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაც რევოლუციის შემდეგ ერთ წელზე მეტი ათრიეს რომ რუსეთის დემოკრატია საბოლოოდ დაეტირებიათ და ის მხ: ლოდ მაშინ გაბედეს, როდესაც რუსეთის დემოკრატია მუცელს გადაყვა. , იქ ბოლშევიკები გაბატონდნენ და სანამ თურქები ხიშტებით არ მოგვადგებოდნენ , გინდა არ გინდა დამოუკიდებლობა გამოაცხადეთო. ყოველივე ეს, რაგინდ პარადოქსად არ მოეჩვენოს ადამიანს მაინც სიმართლეა.

ამ დროს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხელთ ეპყრათ სოციალისტურ ელემენტებს. მათი ძირითადი იდეა იყო კოსმოპოლიტური რაც ძირში ეწინააღმდეგებოდა დროის ეროვნულ იდეას. აღნიშნულ იდეებზე აღზრდილი ხალხისათვის მართლაც ძნელი იყო უცბად დიდი ნახტომის გაკ–

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთება და მათი ტრაგედია იქცა ერის ტრაგედიათ.

ჩვენი ერის მტერი რუსეთიც მხოლოდ იმდენად იყო მათთვის მტერი, რამდენადაც იქ თვითმპყრობელობა ბატონობდა. ამიტომ ისინი თუ რუსეთში რევოლუციის გამარჯვებას მოელოდნენ, მიზანი მხოლოდ ის იყო რომ იქ დემოკრატია დამყარებულიყო. ჩვენს სოციალისტებს აინუნშიაც არ მოსდიოდათ რომ რევოლუცია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გამოეყენებინათ. და როგორც აღვნიშნე, ეს მხოლოდ მაშინ გაბედეს როდესაც რუსეთის მთავარ ცენტრებში ბოლშევიკები გაბატონდნენ. მაშინაც როდესაც დამოუკიდებლობას აცხადებდნენ, მთელი ქვეყნის წინაშე ბოდიშებს იხდიდნენ , უფრო კი უკვე მიცვალებული რუსეთის დემოკრატიის წინაშე, ეს იმიტომ რომ იმ დროს რუსეთში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მრავალი აჯანყებები და ალბად იმედოვნებდნენ რომ ლაზარე კვლავ აღსდგება და ისინი თავიანთ ძმებს დაუბრუნდებოდნენ.

ქართველი სოციალისტები, როგორც კოსმოპოლიტები, ქართველი ერის სულში ვერ კითხულობდნენ მის მარადიულ მისწრაფებათ. თვალებს ხუჭავდნენ იმ ფაქტის წინაშეც რომ ქართველი ერი მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა გზებით იბრძოდა თავისუფლებისათვის. ეს ფაქტი თვით სოციალ დემოკრატიულმა პარტიამაც დაამტკიცა. როდესაც პარტიაში დასმულა საკითხი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ერთი წევრიც არ აღმოჩენილა წინააღმდეგი და ყველას ერთსულოვნად მიუღია ის.

მაგრამ რუსეთმა თავისი გავლენის კვალი იქამდე ღრმად დაამჩნია რომ ქართველი ერი თავისუფლების განთიადს მომზადებული ვერ შეხვდა. ალბად ამან ათქმევინა ქართველ პოეტს:

" ენა როგორ არ დადუმდეს, თვალი როგორ არ გაგიჟდეს,
მზეს დილითაც არ ელოდე, შუაღამით აგიზგიზდეს".

გაბატონებული პარტიის ნოსტალგიამ რუსეთის დემოკრატიისადმი, სახელმწიფო საქმისათვის მოუმზადებლობამ, პარტიული ბატონობის წყურვილმა და გაუმაძღრობამ ჩაჰკლა და დასცა ეროვნული თავდაცვის ინსტიქტი და ვაივაგლახით მოპოვებული თავისუფლება კვლავ მტრის მსხვერპლი გახდა. იმდროინდელი ანალები აშკარად ღაღადებენ რომ თვით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაც ბოდიშების საგნად იყო ქცეული , ღალატადაც კი რუსეთის დეოკრატიისადმი.

ეროვნულად განწყობილმა ნაწილმა მისი ორგანიზაციული სისუსტისა გამო, ვერ შესძლო აღნიშნული უკუღმართობის დაძლევა. ლენინმა კი ამით ისარგებლა და კიდევ ერთხელ მოატყუა ძველი პარტიული ამხანაგები: მათ მოსაჩვენებლად ხელშეკრულება დაუდო, იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ამით საქართველოს მთავრობა განაიარაღა– ჯარების დემობილიზაციითა და თავდაცვაზე ხელის აღებით.რაც როგორც გადმოგვცემენ მანამდე შედარებით უკეთ მიმდინარეობდა. ლენინი ამას უთვალთვალებდა და როდესაც დარწმუნდა ჩვენ სისუსტეში, ჯარები დასძრა და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ კიდევ დაგვიპყრო. ქვეყნის მეთაურები კი ერთმანეთს გაქცევაში ეჯიბრებოდნენ. როგორ არ გაგახსენდებათ შედარება: როდესაც აღა ნაჰმად ხანის ჯარებთან ტბილისის ქუჩებში გაიმართა ბრძოლა, 75 წლის გმირი მეფე ცეცხლის შუაგულში შეიჭრა, უნდოდა იქ აღსრულებულიყო მისი სიცოცხლე. ნ. ჟორდანია და სხვა მეთაურები წინასწარ მომზადებულ გემებზე შესხდნენ და ევროპისაკენ გასწიეს. ხოლო ერი რა მდგომარეობაში ჩავარდა ეს მათ აღარ აინტერესებდა. ეს მწარე მოგონება დღესაც ბევრ ქართველს გულს უკლავს. დიახ! ჟორდანია უცხოეთში გაიქცა ხოლო მის მიერ დაწუნებული დიდი პატრიოტები მთავრობის საქმიანობას რომ არ იყვნენ მიკარებული იქ დარჩნენ და სამშობლოს სამსვერპლოზე თავი ზვარაკად მიიტანეს.

ყოველივე ეს სავალალოა და სამწუხაროა, მაგრამ ეს უკვე ისტორიას ეკუთვნის ნუღარ ვიგლოვთ მას. ვიფიქროთ მომავალზე წარსული მხოლოდ გაკვეთილად გამოვიყენოთ. მომავლის ხათრისათვის დავიწყებას მივცეთ მწარე წარსული. ცოდვებიც ვაპატიოთ თუ ჩვენი ქვეყნის ბედი ამას მოითხოვს: მომავალი უზრუნველვყოთ ჩვენი ღირსეული მოქმედებით, რათა მომავალი თაობების წინაშე არ დავიმსახუროთ ისეთი განაჩენი, როგორიც ჩვენ ჩვენ წინა თაობის მიმართ იძულებული ვართ გამოვიტანოთ. ჩვენი მოვალეობის ღირსეულად შეგნება გვავალებს ვიფიქროთ ჩვენ სამშობლოზე. ის ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და მას კიდევ ერთხელ ემუქრებიან სრულ მოსპობას. ქართველი კომუნისტები თავს ირთობენ თავიანთი პრივილეგიური მდგომარეო

ბით. ეროვნული ღირებულებანი ხელიდან ეცლებიან. ცარისტული რუსეთის მთავრობაც ართობდა ქართველ თავად-აზმაურობას ჩინ-ტემლაკებითა და დიდი თანამდებობებით მაგრამ ფეხქვეშ აცლიდა ქართველი ერის დასაყრდენ თვისებებს მისი საბოლოო მოსპობის მიზნით. ასეთივე პროცესი მიმდინარეობს დღეს საქართველოში.

ბოლშევიკური რუსეთი საქართველოში ძველ რუსულ პოლიტიკას განაგრძობს. ომებში ქართველების გამოყენება და იქ მათი განადგურება. შიგნიც უცხო ტომთა ჩასახლება და ქართველების პროპორციული შემცირება საკუთარ სამშობლოში. ხელის შეშლა ქართული ენისა და კულტურის ფართო გამოვლენაში. ნელ ნელა მოსპობა ყველა იმ ნიშნების რომელიც ხალხს ანიჭებს მის ეროვნულ ინდივიდუალობას. ყველა ამ საქმიანობაში რუსები არც ისე მორიდებუნი არიან. ისინი შეეცადნენ რომ ეს თეორიულადაც დაესაბუთებიათ. კომუნიზმის დამყარების დროს უნდა მოისპოს მრავალენიანობა, ყველა ხალხები ერთად უნდა შეირწყასო. იქნება მხოლოდ ერთი ენა და ეს კი იქნება რუსული ენა. მაშასადამე რუსული კომუნიზმის თეორიით ყველა ხალხები უნდა გარუსდნენ.

ყბადაღებულ ლენინის ეროვნულ პოლიტიკას ჩვენც ვიცნობთ. ის, როგორც ყველა სოციალისტები აღიარებს ე. წ. ერთა თვითგამორკვევის უფლებას- სრულ გამოყოფამდე. მაგრამ ლენინს ეს არ სწამდა და მას მაშინადვე თავისი შენიშვნა დაურთო: თვითგამორკვევა მაგრამ მხოლოდ პროლეტარიატის ინტერესებთან შეთანხმებითო. რაც გულისხმობს უკვე გამოყოფილი ერების ამა თუ იმ ფორმით, რუსეთის ჩარჩოებში მოქცევას. და აი, როდესაც ყველა ისინი ძალით დაიპყრო მერე აგრეთვე ძალით თავს მოახვია ე. წ. საბჭოთა კავშირი. ისიც ცნობილია რომ აღნიშნულ ქვეყნების კომუნისტების დიდი უმრავლესობა წინააღმდეგი ასეთი „კავშირისა“ გაციმბირებული იყო და მათ ადგილას რუსების ლაქიები იყვნენ წამოსკუპებულნი. როდესაც ფილიპე მახარაძემ მოსკოვს უსაყვედურა რომ „საქართველოს განთავისუფლებამ“ დაპყრობის ხასიათი მიიღოვო, ის მისმავე რენეგატმა თანამემამულემ ორჯონიკიძემ ჩააჩუმა: „ერხელ და სამუდამოდ გაიგეთ რომ მოსკოვი თქვენ არ გენდობათ და მას უნა დაემორჩილოთო“. ეს არის სინამდვილე და მეოცე საუკუნეში ზღაპრების არავის სჯერა.

რუსები საგარეო პოლიტიკაშიც იმავე პრინციპს ემსახურებიან. გარეგნულად იდეოლოგიას იფარავენ კვლავ რუსული იდეის განსახორციელებლად. ეს ყველაფერი ისე აქვთ მოწყობილი რომ ზოგი ჩამორჩენილი ქვეყანა ადვილად ებმება მათ მახეში- რადგან ყველას განთავისუფლებას და სიკეთეს ჰპირდებიან. პრაქტიკულად კი იპყრობენ და იმორჩილებენ პატარა ერებს.

საკითხი გარკვეულია. საქმე გვაქვს რუსეთის დაუსრულებელ აგრესიულ პოლიტიკსთან. ამას ადასტურებს რუსეთის ისტორიაც. მოსკოვის სამეფო პატარა სახელმწიფო იყო. ოთხი საუკუნის განმავლობაში რუსებმა მთელი ქვეყნის ერთი მეექვსედი დაიპყრეს. კომუნიზმი ახალი ამბავია. იოანე მრისხანის და „დელი პედროს“ (როგორც მას თურქები ეძახდნენ), დროს, ჯერ ხომ არ არსებობდა „მსოფლიო რევოლუციის“ იდეა, მაგრამ მათი პოლიტიკა იგივე იყო რაც დღეს. რუსეთის ეს ბუნება და ხასიათი მსოფლიოს მრავალ დიდ ადამიანს აღუნიშნავს ალ. დუმა (მამა) სწერდა: რუსეთი ეს ისეთი ელემენტია, რომელიც სულ სხვის დაპყრობაზე ფიქრობსო. პირველი მსოფლიო ომის დროს ნიკოლოზ მეორე ინგლისის მეფეს სწერდა რომ უკონსტანტინეპოლოდ რუსეთს არსებობა არ შეუძლიაო. ეს იდეა პირველად პეტრე დიდმა წამოაყენა. მას შემდეგ სამასი წელი გავიდა და როგორც ვხედავთ, უკონსტანტინეპოლოდ რუსეთმა იარსება.
ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის გაუმაძღარ ბუნებას.

ყველა ამ საქმეში, ჩვენ ქართველებს ჩვენი ტკივილები გვაწუხებს. ქართველი ერის გულისყური აქეთ უნდა იყოს მიმართული. პირველი კი ჩვენში დღეს გატატონებული წრეები უნდა ჩაუფიქრდნენ რუსების ნამდვილ ზრახვებს. რაც ანდროპოვმა ასე ახდილად აღიარა. რამდენად შეეფერება ქართველი კომუნისტების აღტაცება რუსეთის მესვეურებისადმი იმ მდგომარეობას, როგორშიაც დღეს საქარველო იმყოფება. სურათი ასეთია: ქართველი ერი თავის შემოქმედების ძალას ამჟღავნებს ცხოვრების ყველა დარგში. მეცნიერები ენერგიულად სწავლობენ ჩვენი ქვეყნის წარსულს ყველა მის გამოვლენაში. ახალგაზრდობა კი თავს ველარ იკავებს რუსების გამარუსებელ მოქმედებაზე. ახდილად პროტესტს უცხადებს მათ და ამისთვის მსხვერპლსაც არ ერიდება. ქართველი კომუნისტები კი შეგნებით თუ მორიდებით, გვიმტკიცებენ რომ რუსეთმა

ჩვენი ერის ცხოვრებაში დადებითი როლი ითამაშა და რომ ახლაც აღორძინების გზაზე ვართ. ისინი უგულვებელ ჰყოფენ თვით ქართველი ერის შემოქმედებით ნიჭსა და შეუდრეკელ მოქმედებას ერის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. რუსები კი ყველა საშუალებით სცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენ ეროვნულ სიმტკიცესა და მის აღორძინებას. ისინი პირველად დაეტაკნენ ქართულ ენას, რომელიც არის სიმბოლო და ღვრიტაც ეროვნული მეობისა : და სცდილობენ რუსული ენა დანერგონ სკოლებსა და თვით ფართო საზოგადოებაშიც. მათ უნდათ ქართულ სკოლებში აღკვეთონ ჩვენი ეროვნული ისტორიის სწავლება. საბჭოთა კავშირის ისტორია ისწავლეთო. მას კი სულ რაღაც სამოცი წლის ისტორია აქვს და ხელი აიღეთ თქვენი ერის სამიათასხუთასი წლის ისტორიაზეო. აი რამაც უნდა ჩააფიქროს ყოველი ქართველი და მათ შორის ქართველი კომუნისტებიც.

საბოლოოდ საკითხი დგას ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლისა ახალი დროისათვის. ისტორიაში ანალოგიური მოვლენები მეორდებიან, ოღონდ ცხოვრების გზაზე გამოდიან ახალი მსახიობები ერთ და იმავე დრამის შესასრულებლად. ეს ხდება ახალი დეკორაციითა და ახალი სტილით. ჩვენი ბრძოლის ტაქტიკა ახალ ვითარებას უნდა შევუთანხმოთ. სამოცდახუთი წლის ბრძოლამ დაგვარწმუნა , რომ გარემოება გვიკარნახებს ბევრის გადახალისებას, რაც ხვედრია უმთავრესად ახალი თაობისა. ჩვენს დროს ანალოგიური ამბავი გათამაშდა მეცხრამეტე საუკუნისა. დასაწყისში დაპყრობას ქართველმა ერმა ფიზიკური ბრძოლებით უპასუხა, ოთხმოციან წლებში კი ტაქტიკა შეიცვალა. გარდა ფიზიკური დაღლისა ერი დარწმუნდა რომ ბრძოლის ველი სხვა სფეროში უნდა ყოფილიყო გადატანილი. ასეც მოხდა. ეს განმეორდა ჩვენს დროსაც. იმის დამატებით რომ ახლა ბრძოლაში თავისუფალმა ემიგრაციამ ითამაშა საკმაოდ აქტიური როლი – როლი უფრო უარყოფითი. იმ მხრივ რომ უცხოეთში მყოფი ძალები ემყარებოდნენ ფიქციებს. ეს რომ წმინდა პროპაგანდის სფეროში ყოფილიყო მისაღები იქნებოდა, მაგრამ მათ იმედი გადაიტანეს უცხო ძალთა დახმარებაზე და მითვე გადავარდნენ უტოპიაში. სინამდვილემ ეს დაამტკიცა. უცხოეთის დახმარება მაშინაც არ მოხერხდა, როდესაც მტერთან პირისპირ ბრძოლაში ვიყავით, რაც საზოგადოდ შესაძლებელია ხოლმე. ჩვენი დახმარება არავინ იკისრა რუსეთის წინააღმდეგ. რადგან ქვეყნიერებისათვის რუსეთი უფრო დიდი ფაქტორია ვიდრე საქართველო. ეს იყო ანალოგიური საბა-სულხანის მოგზაურობისა საფრანგეთის მეფესთან.

არა ნაკლებ გულუბრყვილოდ გვეჩვენება სხვა ქვეყნების თანაგრძნობის იმედზე დამყარება. ნახევარ საუკუნეზე მეტია თვალს ვადევნებ მსოფლიო პრესას და საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებას და დღევანდლამდე მთელ დედამიწის ზურგზე არ ვიცნობ ქვეყანას რომ ჩვენი თანაგრძნობა საჯაროდ არ ეღიარებინა (გარდა კომუნისტებისა) . მათ შორის არიან ისეთი ქვეყნები, რომელნიც ისტორიულად ჩვენი მტრები იყვნენ. მაგრამ ეს თანაგრძნობა რაგინდ მანუგეშებელი არ იყოს მას მცირე რეალური ღირებულება აქვს. ფრანგები და ინგლისელები პირდაპირ გვეუბნებოდნენ: დიდი თანაგრძნობა გვაქვს, გვინდა იყოთ თავისუფალი, ძველი კულტურული ერი ხართ ღირსი თავისუფლებისა, მაგრამ ვერ დაგეხმარებით და არ გვინდა მოგატყუოთ ამიტომ მსხვერპლის გაღება იმისთვის რაც უკვე მოპოვებულია ე. ი. თანაგრძნობისათვის, ეს ხომ ღია კარების შემტვრევა იქნებოდა. მესმის რომ ეს ბევრს არ ესიამოვნება. წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო! ეს ხასიც რაღაც იმედია მაგრამ პოლიტიკაში შეიძლება მან მავნე როლიც ითამაშოს. ისეთივე როგორც ცრუ დაპირებებმა. ჩვენი წინა თაობის შეცდომების ფაქტებს არ დავასახელებთ– უცხოეთის ქართული პრესა მაგალითებით სავსეა. საქართველოში ხალხის „გასამაგრებლად“ რომის პაპისა და კენტერბერიის ეპისკოპოსის დახმარებასაც ჰპირდებოდნენ აჯანყებულებს!ყოველივე ეს ისტორიას ჩაბარდა. დღეს ისეთი საერთაშორისო მდგომარეობაა რომ პატარა ერთა საკითხი მეორე და მესამე რიგშია. ასეთ პირობებში მსხვერპლის გაღება უმიზნოა. აჯანყებით საქართველო ვერ განთავისუფლდება. საქართველო მარტო არ იმყოფება მონობაში. მისი მდგომარეობა მჭიდრო კავშირშია რუსეთის მიერ დაპყრობილ სხვა ერების მდგომარეობასთან. ამიტომ ან ყველას ერთად განთავისუფლება მოხდება, ან არც ერთის ცალცალკე. რუსები ზოგ ქართველ ემიგრანტს ატყუებდნენ: საქართველოს საკითხი სხვაა მას სხვებს არ ვაკავშირებთო! და გულუბრყვილოთ ვერ წარმოედგინათ რომ როცა

აზერბეიჯანსა და სომხეთში რუსი ზის, საქართველოს დამოუკიდებლობა გამორიცხულია. მეთორმეტე საუკუნეში აღარ ვცხოვრობთ.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა აღ. ევროპის ერთათვის. რომელთა საკითხი გაცილებით აქტუალურია მსოფლიო პოლიტიკაში. თუმცა არც მათი საკითხის გადაწყვეტის საშუალება მოსჩანს. მაგრამ მათ ეკუთვნით პირველობა. მათსას მოსდევს ჩვენი საკითხი. შეუძლებელია ჩვენი საკითხის მათზე ადრე გადაჭრა. ამნაირად ჩვენი საკითხი ორ კონცენტრიულ რკალშია მოთავსებული, რომელთაგან მისი გამოთიშვა შეუძლებელია. ამიტომ ცალკე მოქმედებით მიზანს ვერ მივაღწევთ. ამიტომ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ საერთო კომპლექსში. ხოლო ჩვენთვის უფრო რეალური და საჭიროა ჩვენი შინაური ვითარების განმტკიცება. ჩვენ მცირერიცხოვანთ ყველა პირობებში დიდი მსხვერპლის გაღების უფლება არა გვაქვს. მრავალრიცხოვანთ შეუძლიათ მილიონები დაკარგონ, ჩვენ ეს არ შეგვიძლია. საზოგადოდ ბრძოლაზე ხელს ვერ ავიღებთ და ვერც მსხვერპლის გაღებაზე როდესაც ეს აუცილებელია. ხოლო თავი უნდა შევიკავოთ ავანტიურისაგან, რომელიც მხოლოდ მტერს გაახარებს რომ შური იძიოს. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი მტერთან კომპრომისი არ უნდა გავაკეთოთდა მას სისუსტე არ ვაგრძნობინოთ. ამის ნიმუშად ჩაითვლება დიდი დემონსტრაციები კონსტიტუციის ერთი მუხლისა გამო, რითაც სრულიად სამართლიანად ქართველობამ მოითხოვა რომ ქართული ენა ყოფილიყო სახელმწიფო ენა და რაზედაც მოსკოვმა ქედი მოიხარა. მსგავსი შემთხვევებისას უკან არ უნდა დავიხიოთ. ვიცი რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ძლიერია ეროვნული მოძრაობა. ისიც ვიცით რომ იქ ისეთი პირობებია შექმნილი სადაც ფართო ორგანიზაციების შექმნა შეუძლებელია, მაგრამ თუნდაც ჯგუფურად, მაგრამ თავისუფლების იდეით შეკრული ქვეყანა თავის მიზნებს მაინც მიაღწევს.

ეროვნული თავისუფლების იდეა დღეს ღრმად არის შეჭრილი მთელი ერის ყოველ ფენაში. რუსეთის სასტიკი წნევა ქართველი ერისთვის აუტანელი შეიქმნა. უკანასკნელი ომის დროს საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო რუსების ინტერესებისათვის. არ დარჩენილა ოჯახირომ ერთი წევრი მაინც არ დაეკარგოს. ზოგ ოჯახმა კი კიდევ მეტი დაკარგა და ამან ძალზედ დასცა ჩვენი ქვეყნის ფიზიკური ძალა. არც ომის შემდეგ შეწყვეტილა ჩვენი ქვეყნის ფიზიკური და სულიერი დაძაბუნება. იქ სულ უბრალო რამისთვის სიკვდილით სჯიან ადამიანებს, რის მსგავსი რამ არ არსებობს არცერთ კულტურულ ქვეყანაში. ამან განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია ახალგაზრდობაში. თვით დიდი კომუნისტის შვილებიც განუდგნენ მამებს და მოითხოვენ რუსების ბატონობისაგან განთავისუფლებას. ახალგაზრდობა არის ჩვენი იმედი. მას უნდა გაუფრთხილდეს ყველა. რადგან მან უნდა შექმნას ჩვენი მომავალი.

დღეს ათიათასობით ახალგაზრდა იზრდება ჩვენი დიდი წარსულის შესწავლაზე და მთლად გაჟღენთილია მისი სიყვარულითა და მომავლის იმედით. იგივე ახალგაზრდობაა საუკეთესო ბარომეტრი ჩვენი დროის მოთხოვნილების შეფასებაში. მას გამბედაობასთან ერთად სჭირდება ენერგიისა და სიცოცხლის დაზოგვა. რადგან ჩვენი ქვეყნის ბედი მხოლოდ ჩვენსავე ხელშია. სხვისგან არაფერს არ უნდა მოველოდეთ. ეს ცოტა ძვირი ხილია.

საერთაშორისო ურთიერთობა იმავე პრინციპზეა აგებული როგორც ქვეყანათა შორის სავაჭრო საქმიანობა. ყოველი სახელმწიფო თავის ურთიერთობაში სხვებთან, გამოელის ზედმეტ მოგებას. ის არა ჰგავს მოლა მასრადინას ვაჭრობას: კვერცხს რომ შაურად ყიდულობდა და ოთხ კაპიკად ჰყიდდა— მეტი მუშტარი გვყავდესო. უცხო ძალა მარცხენა ხელით რომ გეხმარება, მარჯვენა გამოშვერილი აქვს მეტი მიიღოს. ამიტომ პატარა ერისათვის საზიანოა უცხო ძალისადმი ხელშემხედველობა.

ჩვენი საკუთარი თავი უნდა იყოს ჩვენი იმედი. ასე ყოფილა ყოველთვის. სადაც საჭიროა მოთმენა, უნდა მოვითმინოთ. სადაც საჭიროა ბრძოლა : უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენი სულგრძელობა და შეურყეველი რწმენა სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის თავდებია ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა!..



ალ. მანველიშვილი. სან ფრანცისკო. 1985 წ.

„სტალინიზმის“ არსება.

გარკვეული ფილოსოფიური თვალსაზრისით „სხვა“ (ადამიანი, საგანი) ყოველთვის შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც „ჩემი შესაძლო ყოფნა მად“, ანუ ჩემი შესაძლებელი განსახიერება იყოს. ეს შესაძლებლობა „სხვად“ ყოფნისა არის საფუძველი იმისა, რომ ცნებანი, როგორც მაგალითად: „ადამიანი“ ან „კაცობრიობა“ უბრალო აბსტრაქციებს კი არ წარმოადგენენ, არამედ რეალობებს, რომელთა „ნამდვილობა“ ინტუიტიური ჭეშმარიტების სახით ცნაურდება. ამგვარ სახიერ ნამდვილობას ჭეშმარიტებისა წარმოადგენს მ ი თ ი.

ისევე როგორც „სხვა“ არის ჩემი შესაძლო ყოფნა, იმდენადვე „მე“ ვარ მისი შესაძლო ყოფნა. ეს ურთიერთყოფნის შესაძლებლობა ქმნის კიდეც საფუძველს იმისა რომ მითი წარმოდგენილ იქნას როგორც ჭეშმარიტების კოლექტიური სახიერების ნამდვილობა, რომელიც ერთდროულად კიდეც ქმნეს რეალობას და კიდეც არის იგი. ამიტომ ვამბობთ რომ მითები მუშაობენ ჩვენითანუ, ჩვენ თითონ ვართ მითები.

ცხადია, რომ არცერთი მოვლენა არ შეიძლება არსებობდეს თავისთავად და „ობიექტიურად“ ჩვენს გარეშე და ჩვენგან დამოუკიდებლადარამედ მხოლოდ ჩვენი საშუალებით.
ამგვარ გაშუალებულ მოვლენას წარმოადგეს მითი. — „სტალინი“ და „სტალინიზმი“, რომელიც აგერ ოცდაათ წელზე მეტია „მუშაობს“ ადამიანით და ქმნის შესაძლებლობათა ველს თავისი „მეს „ გასანამდვილებლად „სხვა“ თი, ანუ „სტალინიზმის“ დასაფუძნებლად. „სტალინიზმი“ ამდენად, საფუძველდებული ხდება არა თვით სტალინში, არამედ ადამიანში, რომელიც ჰპოვებს შესაძლებლობას გაანამდვილოს თავისი საკუთარი „მე“ —ობა, იმპულსები, სწრაფვანი. ამ იმპულსებსა და სწრაფვებს მე ვუწოდებ „სტიქიურს“, უ პ ი რ ო ვ ნ ო ს, უგვაროს და უსახოს (რადგან „მე“ ცვლის თავისთავს „სხვით“ არა როგორც შესაძლებლობით, არამედ როგორც ნამდვილით). თვით სტალინი, ერთი მოსწრებული განსაზღვრებით, წარმოადგენს „უპიროვნო პიროვნებას“, რომელიც თავისი „მეს“ გასანამდვილებლად აუცილებლად საჭიროებს უ პ ი რ ო ვ ნ ო ბ ი ს ვ ე ლ ს, რომელიც აძლევს მას შესაძლებლობას განამდვილებისა, ამდენად, ჩემის აზრით, საქმე იმაში კი არ არის რომ სტალინმა, ვით უპიროვნო პიროვნებამ შესძლო თავისი თავის, სწრაფვების იმპუსების რეალიზება (როგორიც არ უნდა იყოს მათი შეფასება „სტალინისტური თუ „ანტისტალინისტური“). არამედ იმაში რომ ყოველი ადამიანი, რომელიც კაცობრიობას შეადგენს (ჩვენ სულყველანი) ასე თუ ისე მონაწილე აღმოჩნდა ამ რეალიზებისა. უპიროვნო პიროვნება არასოდეს მარტო არ არის. მას ამისათვის არც ძალა აქვს და არც სახიერება (როგორიც აქვთ რაინდებს, მოციქულებს, შემოქმედთ) „უპიროვნობის მასა“ ჰკვებავს მას და იქცევა მის ხელშემწყობად. ხოლო ამ თვალდაზრისით კითხვა შეიძლება შებრუნებულ იქმნას: როგორ აღმოვჩნდი მე ამ უპიროვნო მასაში და დავუშვი ჩემს არსებაში „სტალინი“, შევიქმენი „სტალინიზმის ველად“. სტალინიზმი სწორედ ამგვარი დაშვება არის, ცხოვრებაში რომ ვლინდება, საკუთარი სახიერების მოსპობით, შიშით მდგომარეობის დაკარგვისა, გაქვეშძრომობით, ღვთისგმობით და ულმერთობით და საბოლოოდ, იმ „სხვად“ ქცევით (ცხადია საკუთარ ველში, საკუთარ ორლობეში) რომელიც შესაძლებლობის სახით არსებობდა მხოლოდ.

სტალინი, მითია სინამდვილედ ობიექტირებული, იმ მომენტში, როდესაც წყდება ადამიანის პიროვნული და სახიერი ღწვა, შემოქმედებითი წვა განსაპიროვნებლად, როდესაც იწყება რღვევა შეგნებისა და იმ კულტურულ ფასეულობათა, რომელნიც ადამიანს ამაღლებენ დანარჩენ ცხოველ (ცოცხალ) არსებებზე და ღვთიურობისაკენ მიმავალგზას უხსნიან მას. სხვაგვარად: ეს ხდებაიმ მომენტში, როდესაც ჰქრება და რამდენადაც ჰქრება ჩემი ნებისყოფის დაძაბვა და მის ადგილს იკავენს გაოგნება, გაშეშება, შეშად ქცევა, რაც მხოლოდ საწვავია სხვისა და არა საკუთარი ნაყოფის გამომღები! რაც გამოწვეულია შიშით, ნგრევის ინსტინქტით და გ ა ნ წ ყ ო ბ ი თ. ფსიქო.სოციალური თუ ინდივიდუალური იმპულსებითა და გ ა ნ წ ყ ო ბ ი თ, რომელნიც ჰბოჭავენ ადამიანის პიროვნებას, სახიერებას, ნიჭს, თვისებებსა თუ ხასიათს, სტიმულს აძლევენ რა მასში „თვითშენახვის ატავისტურ კომპლექსებს“. პიროვნება

კვდება და მის ადგილს იკავებს უნებისყოფო უპიროვნო „ვიღაც“. ( ეს უპიროვნო „ვიღაც“ რომ ნამდვილად არსებულია, ქართულმა ენამ გამოხატა ფორმით „ამბობენ“. სინამდვილეში ყოველთვის ერთი ადამიანის მაცნე და ჩვენ ვიგებთ ამბავს პეტრესაგან, პავლესაგან, ვახუშტისაგან და არასოდეს „ვიღაცეებიდან“. ხოლო გაუპიროვნება ფორმაში „ამბობენ აღნიშნავს სწორედ სრულ ინდიფერენტიზმს ადამიანის ვითარცა პიროვნების მიმართ, რაც კიდეც აღნიშნავს პიროვნულობის კრიტერიუმის გაქარწყლებას და მასაში შერთვას. ჰაიდეგგერი ამგვარ უპიროვნობას აღნიშნავს ტერმინით: „MAN“, რუსთაველი! „მიმნდონი საწუთროსანი“, ვაჟა–„მკვდარი კაცი“ და „სხვანი“ )

უპიროვნო პიროვნება რომელსაც სტალინი ამ შემთხვევაში განასახიერებს, შეიწოვს და ფოკუსში აქცევს ყველა იმპულსებს იმ ამორფულ–აპათიური ველისა, რომელსაც მასა ეწოდება– . ამ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს ერთან, ხალხთან ან მეთაურთან , არამედ ჩვენს წინ არის მ ა ს ა და ფ ო კ უ ს ი . სტალინს გარეშე შეიძლება იგივე ითქვას ჰიტლერზე, ლენინზე და ყველა ჯურის სოციალ–ტოტალიტარისტებზე (იდეოლოგ–პოლიტიკოსებზე, ან ლოგოკრატებზესოციალისტებიდან კომუნისტებამდე, რომელნიც „დეკლასიური მენტალობის მატარებელნი არიან). მასის დეკლასიური, უპიროვნო კოლექტიური „ცნობიერება“ შეიძლება ფოკუსში მოაქციოს შესატყვისად დეკლასირებულმა პიროვნებამ, რომლის მენტალობა მასის სტიქიური „ორგანიზაციის“ კონკრეტიული ასახვაა. საკმარისია გავიხსენოთ საერთო წარმოდგენა მასისა სტალინის არაჩვეულებრივ ორგანიზებულობაზე, იმ შინაგან წესრიგზე, რომლითაც იგი ხასიათდებოდა მასის თვალში, რომ უმალვე შევნიშნოთ: მასა სტალინის პიროვნებაში ხედავდა თავის (მასის, „ყველადობის“ ) განსახიერებას: ისინი იგივეობითნი არიან.

ახლა მგონი ცხადი უნდა იყოს რომ სტალინიზმის ან გნებავთ სტალინიზაციის შესაძლებლობა არსებობს ნებისმიერ ჰეგალოპოპულაციურ სისტემაში (მასის სოციუმი). არსებითად კი იგი „ბუნებითია“ მასის ორგანიზების ტოტალიტარული, მონოცენტრული, ერთგანზომილებიანი სისტემისათვის. ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი ცენტრალიზება (მოყოლებული „აბსოლუტიზმიდან“ე. ი. ფეოდალიზმის დაცემიდან)შეიცავს ტენდენციას ტოტალიზარიზაციისა, რადგან იწყებს მანიპულირებასუპიროვნობის ველში (მასის) და ამგვარად იწვევს „გაშეშებას“ ინდივიდისა და სტიმულს აძლევს უპიროვნობას. აქედან ისიც ხდება გასაგები, თუ რატომ იძლევა ამგვარი „უპიროვნობის წნეხის“ პირობებში და პერიოდებში ისტორია, პიროვნული ზეაღსვლისა და ამაღლების მაგალითებს. ადამიანი სრულიადაც არ არის „ჯამი“ სოციალურ ურთიერთობათა და ატავისტური თვითდამცველი ინსტინქტებისა. იგი სულიერია და ღვთაებრივი თვით ნებითა თვისითა. იგი არის „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი“ ხოლო ც დ უ ნ – ე ბ უ ლ ი ძე ღვთისა (ქართული „ადამიანი“ და „ქრისტიანი“ – ბრწყინვალე შესატყვისობაში და ურთიერთშეცვლაში სრულად გვიხსნიან ამას. ამიტომ ესაჭიროება მას ღრმა რწმენა და ღრმა შეგნება თავისი არსებისა და – ცხადია ნებისყოფა– ე=ი= პიროვნებად არათუ შეცნობა, არამედ შექმნა (შემოქმედება) თავისა. და ის, ვინც ინარჩუნებს და ქმნის თავის პიროვნებას „უპიროვნობის ამ ველში– იგი ბრწყინავს კიდეც ჰორიზონტზე კაცობრიობის ისტორიისა. ხოლო მასა ანუ ველი უპიროვნობისა და ულმერთობისა შერთულია უმყოფობას.

დასაზუსტებლად: განსხვავება ერსა (ხალხსა) და მასას შორის პრინციპულია. ერი ნიადაგზე იმყოფება და ფესვებგადგმულია ამ ნიადაგში– გეო–კულტურულ ბუნებაში თავისი არსებობისა დროსა და სივრცეში ანუ ისტორიაში ერი–ბაღია, და ყოველი წევრი ამ ბაღისა დაკავშირებულია ურთიერთს ფესვებით . ბაღი იერარქიულ პრინციპს განასახიერებს და კლასიფიცირებულია: ყოველი ხე არა მარტო თავისი ალაგითარამედ თავისი ნაყოფითაც განსაზღვრულ ადგილზეა ხოლო ყოველი თანაწევრია ბაღისა ხის და ბაღის მაგალითი ზუსტი გამომხატველია ერის არსებისა.

მასა უნიადაგოა. მასას ფესვი არა აქვს და ე. ი. მას არა აქვს არც გეო–კულტურული ნიადაგი და ბუნება. მას არა აქვს არც არსებობის დრო და სივრცე –სამშობლო და ისტორია. მასა ქარიხვეტია არის . იგი სტიქიურია და არავითარ კლასიფიცირებას არ ექვემდებარება. მასაში წევრი, ელემენტად იმყოფება , ხოლო იერარქია დეკლასიურ მორჩილებას წარმოადგენს.

მასის საუცხოო განმარტება აქვს მოცემული კარლ მარქსს, რომელიც თითონაც სავსებით განახორციელებდა „უპიროვნო პიროვნებას" დეკლასიური მენტალობის მქონეს და ამდენად „შიგნიდან" ხედავდა მასის (და საკუთარ) არსებას: „პროლეტარიატს სამშობლო არ გააჩნია". ამ განსაზღვრებაში „პროლეტარი" სრულიადაც არ ნიშნავს „მშრომელს", არამედ „ელემენტს" სოციალურ ურთიერთობათა პოსტულირებულ სისტემისა(მარქსისტული სოციუმი) რომელიც თავისი არსებით წარმოადგენს უპიროვნო მასას. ეს ბრწყინვალედ შეითვისა სოციალისტურმა და შემდეგ კომუნისტურმა მოძრაობამ და ამიტომ მასათა ორგანიზების ერთადერთ ძალად დასახა პარტია და პარტიული ფიურერიზმი (ავტორიტარიზმი). სრულყოფილი განსახიერება ამგვარი სისტემისა იყო და არის „სტალინისტური" ტოტალიტარიზმი.

2. „სტალინიზმი" შედეგია და არა მიზეზი. თუ გვსურს ავიცდინოთ ეს შედეგი, საჭიროა უფრო სერიოზულად ჩავწვდეთ მის მიზეზებს და შევიცნოთ იგი, რათა წინაღვუდგეთ მას და კიდეც დავძლიოთ იგი საკუთრივ ჩვენსავე არსებაში — და მაშასადამე „ობიექტიურ რეალობაშიც."

როდესაც ამ ათიოდე წლის წინად საქართველოს პარტიული ტახტის მპყრობელმა ე. შევარდნაძემ წამოიწყო „ნეგატიურ მოვლენებთან" ბრძოლას" კამპანია, ჩვენ მოწმენი გავხდით მეტად დამაფიქრებელი მოვლენისა. „ბრძოლის" ჟინით შეპყრობილი მასის ენთუზიაზმმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დაიწყო წერილების (საჩივრების, ურთიერთდაბეზღებების, ანონიმური ღვარძლიანობის, ბრალდებების) ზვავი, გრიგალი, ნიაღვარი. საქმე იქამდი მივიდა, რომ ცენტრალურ კომიტეტში გაიხსნა „მშრომელთა წერილების განყოფილება", ხოლო შემდეგ კი საგანგებოდ იქნა გამოცხადებული, რომ თუ „მშრომელები" არ შეწყვეტენ წერილების წერას, განყოფილება დაიხურება. მიახლოვებით შეიძლება ითქვას,რომ „ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ ხუთი წერილი დაიწერა" და ყველა იყო მანიშნებელი „ნეგატიური მოვლენისა". სამოციანი და სამოცდაათიანი წლების პარტიულ ლიდერებს, ტახტის დასაპყრობად სტალინისებური სისხლიანი გზის გავლა არ დასჭირებიათ და ამიტომაც არც სტალინისებრ სისხლისმოყვარენი არიან. (მითუმეტეს ოთხმოციანი წლებისა — რომლებსაც „უსისლო სტალინისტებს" ვუწოდებ). წმენდები რომელნიცამ წერილებს, და საკუთარ გეგმასაც ახალი ლიდერისა მოჰყვა, „ნელ-თბილი" იყო — სტალინურ მდუღარე წმენდებთან შედარებით. ახლა წარმოვიდგინოთ რა მოყვებოდა ამას სტალინის დროს. და არც გვჭირდება წარმოდგენა, რადგან ცნობილია რომ, საყოველთაო ტერორის დროს, როდესაც ლოზუნგი იყო: „ყოველი საბჭოთა მოქალაქე ნკვდ-ს წევრი" — და მოსახლეობის მასა ორგანიზებულად (პარტიის მესაჭეობით)შეუდგა განწმენდას ყოველგვარი „კლასობრივი" ნარჩენებისაგან (რაც ბრწყინვალე დადასტურებაა ტოტალიტარიზმის დეკლასიურობისა)კრემლს, და შესატყვისად პატარა „კრემლებს" ... პარტუჯრედამდე და ცალკეულ ენთუზიასტამდე, ასეთივე ზვავი წერილებისა მოაწყდა. აი ეს არის ჭეშმარიტი სტალინიზმი. ყველა და ყველაფერი იყიდება თავის გადასარჩენად ანმდგომარეობის შესანარჩუნებლად ან მოსაპოვებლად. (თავის არც თუ ისე დიდიხნის წინანდელ ინტერვიუში ჟ. ურბანთან, ა. ზინოვიევი საუცხოოდ ადასტურებს ჩემს აზრს და თვითვე თავსდება სახელდებული „ჰომო" „სოვიეტიკუს"ის მოდელში. მე ამ მოვლენას უფრო სტალინის სახელს დავუახლოვებდიდა მას დავარქმევდი: „ჰომო სტალინიენსის" — დავახასიათებდი რა ყოველივეს როგორც „უპიროვნობის ნოსტალგიას").სწორედ ამან შექმნა საუცხოო ასპარეზი სტალინის სატანური ფანტაზმების რეალიზებისათვის. ახლა, თუ შევადარებთ ამ დაბეზღებებს და ხელშემწყობ ენთუზიაზმის რაოდენობას, ნაგვემთა ნაწამებთა გადასახლებულთა და დახვრეტილთა რიცხვს (ოცდაათიდან ორმოცდარვა მილიონამდე, სხვადასხვა მონაცემებით, მთელი წმენდების განმავლობაში,რასაც ზინოვიევი „ადგილის განთავისუფლებად" მიიჩნევს და სოციალური ჰორიზონტის გახსნად„მწმენდავებისათვის"), ამ ორ რიცხვს თუშევადარებთ ვნახავთ, რომ სტალინიც, დიდი და პატარა კრემლებიცდა „სტალინუკებიც" საკმაოდ „შემწყნარებლურად" მოქცეულან — რაკი სამსხვერპლო მასიდან მხოლოდ იმათ არჩევდნენ, ვინც ასე თუ ისე საფრთხეს უქმნიდა უპიროვნობის აპოთეოზსა და დეკლასიურ ტოტალიტარიზმს. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთადერთი ნამდვილი არჩევნები ჩატარებული 1917 წლიდან დღემდე

ბოროტებას არსება არ გააჩნია. მაგრამ ბოროტება ძალას იძენს, როცა შესატყვის ველში აღმოჩნდება. სწორედ ამ ველში იძენს სახეს ბოროტი —სატანა და ამ სახის მისაღებად ახდენს პ რ ო ვ ო ც ი რ ე ბ ა ს ამ ველისა. ხოლო პროვოცირება შეიძლება მხოლოდ იმისი, რაც „წინდებულია" პასიურად. ისევე როგორც „სტალინიზმი" იყო პასიურად მყოფი სტალინის წინაშე. (სტალინი–სტალინიზმი–სატანა — სატანიზმი ამ ცნებათა სიახლოვე „სტნ" უფრო ღრმა ბუნებისაა, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით გვეჩვენოს). და მან მოახერხა მისი პროვოცირება— განასახიერა რა თავი როგორც მ ი თ მ ა. სტალინიზმი ამუშავდა მასაში საბჭოთა სოციალისტურ — კომუნისტური იმპერიისა როგორც მითი და , ერთგვარად, თვითგანხორციელდა.

საყოველთაო განათლების ხელოვნურობამ თავისი პირველი ნაყოფი გამოიღო ს ა ბ ჭ ო თ ა ინტელეგენციის სწრაფვაში გაემკვიდრებინათ მითი „სტალინი" და ამგვარად გამკვიდრებული შთაენერგათ უკანვე მასაში. ყოველი კეთილშობილი მიზან–სწრაფვა ვთქვათ, საყოველთაო განათლება თვითმომსპობია—თუ იგი არასწორი საშუალებით , ხელოვნურად და რევოლუციურად ინერგება. მას სპობენ ის „არაკეთილშობილური" საშუალებები რომელნიც იმპლიციურად სრულებით სხვა მიზანს ემსახურებიან. და აღწევენ კიდეც მას— კანსაკუთრებით ჩაკეტილ ერთგანზომილებიან სისტემაში, იწვევენ რა მასის სტიქიური დესტრუქტურულობის ამოფრქვევას. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ველი რომელიც ჰკვებავს ფანტომს „სტალინიზმისა" ცოცხალი მაგმაა რომელიც განსახიერებას ჰპოვებს უპიროვნო პიროვნებაში რომლის სახელსაც სწერს ისტორიული მომენტი. ლენინი, სტალინი, ჰიტლერი. . . და სხვა. ეს უპიროვნო პიროვნებანი იკვებებიან ჩვენი უნებისყოფობით, ჩვენი უპიროვნობით, ჩვენი „მიმალვით" , ჩვენი დეკლასიურობით და აცოცხლებს მთელს ჩვენ აპათიურ დესტრუქტურულ არსებობას რითაც კიდევაც გვრთავს უპიროვნო მასაში. . და ჩვენვე გვკვებავს ამ გადამუშავებული „საკაცობრიო" თხლეთი , რომელსაც ჩვენ, ბუნებრივია, ველარ ვცნობთ და არც ვცნობთ ჩვენად, რადგან იგი ფოკუსირებულია , განსახიერებულია, „პიროვნებად". თვით ეს პიროვნება უპიროვნოა, რადგან წარმოადგენს მხოლოდ ფოკუსს („ნაზმანებ სახეს"-ვაჟა). მასის უპიროვნო მახასიათებლებისას.

აქ ხაზი მინდა გავუსვა: სახე, სახიერობა მხოლოდ ღმერთსა და ღვთიურსა აქვს. სატანას, ეშმას აქვს არა სახე, არამედ მოჩვენება და იგი იხატება როგორც სახის უარყოფა, ღვთიურობის არსების უარყოფა, რადგან საკუთარი არსი , „თავით თვისით მყოფობა" მას არა აქვს. აქედან მომდინარეობს ეშმაურობის, სატანურობის ბუნებაც.—პროვოკატორული. რამეთუ საჰიროებს რეალიზებას და მატერიალიზებას. ეშმა—სატანა ნიღაბს ატარებს ნიღბიანია და არა „სახიერი".

მატერილიზებული უპიროვნო პიროვნება , ამგვარად, ერთდროულად იქცევა მიზეზადაც—როგორც პროვოკატორი და შედეგადაც— როგორც ფოკუსი „განხორციელებული. ე.ი. იქცევა მითად. სწორედ ეს არის სტალინის მითი რომლითაც იკვებებოდა და სუნთქავდა მთელი „საბჭოთა ხალხი" და არა მარტო ის, „სტალინური საუკუნის" განმავლობაში. ეს მითი ახლა, შეიძლება ითქვას, მთვლემარე ან მიძინებულია(შესანიშნავად ესადაგება სტროფები: „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს") და ჩემის ღრმა რწმენით, მსწრაფლ გაიღვიძებს, აღდგება ფანტომი , შეიძენს ნიღაბსა და კონკრეტიულ სახელს, როგორც კი მასის სტიქიურ—დესტრუქტურული იმპულსები რეზონანსით ფოკუსში მოაქცევენ ფანტომურ სახიობას.

გამანადგურებელი მანქანა , სტალინი რომ წარმოადგენდა ვერ იარსებებს ობიექტის გარეშე. მაგრამ იგი ხელთუქმნელიც არ შეიძლება იყოს. იგი შექმნილია იმ ველის მიერ, რომელიც შემდეგ ობიექტი ხდება ამ მანქანისა. ეს ეხება არა მარტო მოცემულ ველს უშუალო მიმართებისა ვთქვათ, სსრკ—ს, არამედ მთელ მსოფლიოსაც. რადგან თანამედროვე მსოფლიო, მეოცე საუკუნის მსოფლიო, ერთ ნასკვადაა გამონასკვული და ის, რაც ხდება მსოფლიოს მეექვსედ ნაწილში მრავალმხრივ შედეგია იმისა, რაც, გარკვეულწილად კულტივირებულია დანარჩენში. აქ ჩვენ გვაქვს იგივე შენაცვლება მიზეზისა და შედეგის. ლოკალური წრე გახსნილია და უკვე მთელი მსოფლიო არის ასპარეზი მასისა და ფოკუსის ურთიერთმოქმედებისა. ამის არდანახვა და შეუცნობლობა ნიშნავს წავართვათ საკუთარ თავსა და მსოფლიოსაც კეთილმოქმედი საწყისები და ჩავერთოთ იმ ფოკუსში(მსოფლიურ)რომელიც არის სტალინიზმის ფანტომის განმაცოცხლებელი დედამიწის სხვადასხვა კუთხეში თუ საზოგადოებრივი წყობის საზღვრებში: კამპუჩია,ვიეტნამი,

ალბანეთი, რუმინეთი, კუბა, ნიკარაგუა ლიბია, ირანი, და სხვა. სოციალური და პოლიტიკური ტერორიზმი, გენოციდი, შოვინიზმი.-ტიპოლოგიური სტალინური მოვლენებია. ყოველგვარი ცივილური და კულტურული, ეროვნული თუ პიროვნული თვისობრიობისა და არსების გარეშე მყოფი- დეკლასიურ ფანტომური რეალობა.

ვ. „მასათა მიგრაციის" თანამედროვე პირობებში მეგალოცუფილურ და მეგალოპოპულაციურ სისტემებს (უზომოდ დიდ ქალაქებს, რომლებიც სრულიად ახალ „ბაბილონურ" ეფექტს ქმნიან) აქვთ „გაშეშების" ტენდენცია. რესპუბლიკურ საზოგადოებებს(ანუ „დასავლური ტიპის", განსხვავებით "პარტოკრატიულ- დეკლასიური სისტემებისაგან)თუმც საკმაოდ მოეპოვებათ სამართლებრივი და მასტაბილიზებელი სტრუქტნრები, რითაც შეუძლიათსაზოგადოების დაცვა სისტემის ექსპანსიისაგან, ისინი მაინც არ არიან სავსებით დაზღვეულნი იმ „ძვრებისაგან", რომელთაც იწვევს ამოძრავებულ მასათა „კულტურული შოკი" და მისით გამოწვეული დესტრუქტურულობა ანუ ამორფულობა. ამას კიდევ უფრო აძლიერებს ეროვნული თვითშეგნების კრიზისი, აღზრდის სისტემის აბსტრაქტული ხასიათი - დევიზით: „სპეციალისტი" და არა „პიროვნება". და საერთო ფსიქოლოგიური სტრესიც გამოწვეული „ინფორმაციული ზვავით", რომელსაც „მასს მედია" დღითიდღე ზრდის. ღირებულებათა მობილობა, ადგილშენაცვლება, დესტრუქტურულობა და გაუფასურება. ორტეგა ი კასეტის ტერმინებითსახეზე გვაქვს ის „სავსებობა" და „მასობრივობა", რომელიც ფაქტიურ ნიადაგს ქმნის დეკლასიურობისა და ანტისაზოგადოებრივი მოძრაობებისათვის. რომელსაც რეზონანსით ან პირდაპირი ექსპანსიით ავრცელებს თავის ირგვლივ ტოტალიტარული სისტემა.

სტალინიზმის სამყარო, როგორც სამყარო სახელმწიფოებრივ სისტემისა(ამ სისტემას მე ვუწოდებ „ნეკროკრატიას")გამოვლინდა არა მარტო იმპერიის შინაგანი ველის სახით, არამედ იმ რეზონანსული ველისაც, რომელიც არსებობდა ევროპასა და ამერიკაში და რომელმაც მრავალნაირად ხელი შეუწყო ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბებასა და „გაფურჩქვნას". ამიტომაც არაა გასაკვირი რომ სტალინიზმი ასე სწრაფად იქმნა „ფოკუსირებული" ჰიტლერის სახით. და არც შემდგომი „განწვლილვა" და დაპირისპირება: ორი სატანა ერთ სივრცეში ვერთავსდება სატანურის მაცდურ პროვოკატორულ ბუნებისა გამო. სტალინი უფრო ძლიერ ველში იყო ფოკუსირებული და ამავე დროს ევროპულ და მსოფლიო ურთიერთდაპირისპირებაში შესძლო „მსხვერპლად" წარმოეჩინა საკუთარი თავიცა დამის მიერ შექმნილი სისტემაც. (ჰიტლერს ეკუთვნის გამოთქმა: „ექვს ნულს რომ ერთიანი მიუწერო-მილიონი გახდებაო"-ეს „ერთიანი", პარტიული ფიურერია-გაღმერთებული მასის მიერ. ერთ ანეკდოტში, სტალინი ეუბნება ბერიას: „ისე მიხსენებენ მილიონობით მსხვერპლს, თითქოს ნიკოლოზმა სიით ჩამაბარა ხალხი და პასუხს მომთხოვსო". ფეტიშირებულ ფანტომს შეუძლია მხოლოდ ამგვარი რამ თქვას. ბუნებრივია რომ მატერიალიზებული ფანტომი, მოიკრეფს რა ძალას, ცდილობს შეჭამოს თავისი შემქმნელებიადამიანთა მასა იქნება ეს თუ სხვა ცივილიზაცია.

იმდენად, რამდენადაც ყოველი ჩვენთაგანი -კაცთაგანისახელმწიფო თუ საზოგადოება დასძლევს თავის შინაგან „სტალინურ" ფანტომს, თავის დეკლასიურობას და დესტრუქტურულობას, დასძლევს შიშს სტალინიზმისა, რომელიც ბადებს კიდეც შეუცნობელ ლტოლვას მისკენ(მსხვერპლისმიერი მაზოხისტური და თვითმომსპობი სწრაფვა მწვალებლისადმი) იმდენად, რამდენადაც ცივილიზებული სამყაროს ყოველი წევრი -საზოგადოება და ყოველი პიროვნება -წევრი ამ საზოგადოებისა, დასძლევს თავის უპიროვნო-დესტრუქტიულ იმპულსებს, იმდენადვე განთავისუფლდება კაცობრიობა სტალინიზმის ფანტომისაგან. რადგან, როგორც ითქვა, ამ ფანტომს არსება არ გააჩნია, თვითობა და თავით თვისით მყოფობა არა აქვს და წარმოადგენს მხოლოდ ფოკუსს უპიროვნობისა და დეკლასიურობისა.

მხოლოდ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს შეუძლია წინაღუდგეს და სძლიოს უპიროვნობას.

ჯანრი კაშია.

# ამერიკა 86.

დედამიწის ყოველ კუთხეში მცხოვრები ქართველები მეტად თუ ნაკლებად, ყველანი დაინტერესებულნი არიან საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებით – როგორც მოქალაქენი და განსაკუთრებით როგორც ქართველები. მაგრამ რაოდენაც გამჭრიახი არ იყოს მათი გონება და გამჭვალავი მათი უნარი ანალიზისა, ყოველი მათგანი აუცილებელ გავლენას განიცდის იმ ქვეყნისა და იმ წრისა, რომელშიაც იგი ცხოვრობს. მაშასადამე მისი შეხედულებაც ცალმხრივი ინფორმაციით ყალიბდება. დღევანდელ ორად გაყოფილ მსოფლიოში კი ორი დიდი სახელმწიფოა, სინამდვილეში და რეალურად, ყველაფრის გადამწყვეტი. ამაგან ქართველთათვის საბჭოთა სისტემა და მის მიერ შექმნილი იმპერია მტერს წარმოადგენს. ხოლო შეერთებული შტატები არჩევანს გარეშე მოცემული მეგობარია. ამიტომ, თუ გვსურს ვიცოდეთ „რაშიგან ვართ“, უპირველესად უნდაგავიცნოთ როგორ უცქერის დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხს თვით ეს დიდი დემოკრატიული სახელმწიფო.

წინამდებარე მასალა მონტაჟს წარმოადგენს სხვადასხვა ამერიკელ პიროვნებათა მიერ გამოთქმული აზრებისას. ყველა, მიმდინარე წლის დასაწყისისაა და ასე ვთქვათ, გათვალისწინებაა უკვე არსებულ თუ მომავალში მოსალოდნელ პრობლემათა მიმართ, ამერიკის პოზიციის დადგენისა 1986 წლისათვის. აქ მოტანილ აზრთა და შეხედულებათა ავტორნი არიან:

PAUL JONSON – ავტორი წიგნისა „მოდერნული დრო“ (მოდერნ ტაიმ).

ADAM ULAN – რუსულ საკითხთა კვლევის დირექტორი ჰარვარდის უნივერსიტეტში და ავტორი წიგნისა: „საშიშროება სახელმწიფოსათვის. საბ. კავშ. მსოფლიო პოლიტიკაში“.

LUCIAN PYE – პოლიტიკურ მეცნიერებათა. პროფეს. მასაჩუსეტის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. სპეციალისტი აზიურ საკითხებისა.

WALTER LAQUEUR – ინტრნაციონალურ კვლევათა ხელმძღვანელიგეორგეტოვნის უნივერსიტეტთან არსებულ ცენტრისა, სტრატეგიისა და ინტერნაციონალური კვლევისათვის.

ორიგინალურ ტექსტებში არავითარი ცვლილება არ არის შეტანილი არც კომენტარებია ჩამატებული. კომენტარები ბოლოს არის გადატანილი და მათზე მიუთითებს ფრჩხილებში ჩასმული ნუმრები. აქვე მოვალედ ვრაცხ თავს მადლობა გადავუხადო– ბოლდერის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის დარგის სტუდენტს, ჩემ შვილიშვილს ცირუ–ბეატრიჩე ემიკ–ს წყაროთა მოწოდებისათვის. და – ჩემს ასულს ასინეთს– ინგლისურ ტექსტებში გზის გაკვლევისათვის (ფრანგულის მეშვეობით), რომელთა გარეშე უმწეო ვიქნებოდი.

* * * * *

რეგან–გორბაჩოვის შეხვედრის ერთერთ ასპექტს არ მიუპყრია საკმარისი ყურადღება: ეს არის ის მზადყოფნა რომლითაც თავისუფალმა სახელმწიფოებმა მიიღეს რეგანი ვით მათი პორტპაროლი. ეს მოვლენა მრავლის მთქმელია ამერიკის თანამედროვე როლის თაობაზე.

ამერიკა მსოფლიოს ჟანდარმი არ არის, მაგრამ ამერიკა არის განსაკუთრებლი მოვალეობის მქონე სახელმწიფო, მაშასადამე – მქონე განსაკუთრებული უფლებებისაც. ისინი ისტორიიდან და გეოგრაფიიდან მომდინარეობენ. თავისი ევოლუციის მიხედვით, ამერიკა მოწოდებულია ნებაყოფლობითს თანხმობაზე დაყრდნობით აწარმოოს მართვა მისი სახელმწიფოსი.

თავისი რესურსებითა და ტერიტორიალური სივრცით, სხადასხვაფეროვბით და ენერგიით მისი მოსახლეობისა, იგი აღჭურვილია იმისთვის, რომ განავრცოს და დაიცვას თავისი იდეალი. ეს ფაქტები არიან ამერიკის სიამაყე. ისინი აგრეთვემისი სიძნელენი და ტვირთნი არიან.

ინგლისელები გაგვიგებენ. საუკუნეთა განნავლობაში ბრიტანეთმა თავისი წონა გამოიყენა აღსაკვეთად ყველა იმ სახელმწიფოთა პრეტენზიებისა, რომელნიც ჰეგემონიისაკენ მიილტვოდნენ ევროპაში –ესპანეთი საფრანგეთი გერმანია. ერთდროს ინგლისმა თავისი ფლოტი გამოიყენა რომ ბოლო მოეღო მეკობრეობისა და მონებით ვაჭრობისათვის. ბრიტანეთი უფრო საზღვართა დარაჯი იყო ვიდრე – მსოფლიოს ჟანდარმი.

1945 წლიდან ამერიკას ხვდა წილად ზიდვა ინგლისის ძველი ტვირთისა. და შევსება

სიცარიელისა, ინტერნაციონალურ წესრიგ–კანონიერებაში. ერთა გაერთიანებული ორგა–
ნიზაცია ვერ ამოავსებს ამ სიცარიელეს. ამგვარად ამერიკა გამოდის არაოფიციალურ
შემცვლელად(სუბსტიტუტ), რასაც დიპლომატები უწოდებენ PIS ALLER –

ამერიკის მეთაურები, სხვადასხვა ხარისხით შეზღუდულ ენთუზიაზმით დათანხმდნენ
ამ ტვირთის ზიდვას. ერთადერთი ნამდვილი ენთუზიასტი ჯონ კენედი იყო. ამერიკაო სთქვა
მან თავისი საპრეზიდენტო მანდატის დაწყებით დეკლარაციაში„ ყოველ საფასურს გადაიხდის,
ყოველ ტვირთს იკისრებს, მიმართავს ყოვეთ ღონისძიებას, დაეხმარება ყოველ მეგობარს,
წინაღუდგება ყოველ მტერს რომ უზრუნველჰყოს გადარჩენა და წარმატება თავისუფლებისათ",
სინამდვილეში ეს მხოლოდ ფორმულა (ტექსტში ჰიპერბოლა)იყო. ვიეტნამმა ცხადჰყო საზღვა–
რი ამერიკის ყოველი გარანტიისა. ეს იყო ტვირთი რომლის ზიდვა ამერიკელებმა არ ისურვეს.

ს ც ე ნ ა რ ი ო უ ა მ ე რ ი კ ო დ. მეორეს მხრივ ზოგიერთ მინიმალურ მოვალეობას
აასრულებს ამერიკა: იგი დასჯის ზოგიერთ საერთაშორისო დანაშაულს, არ დაუშვებს სხვა
ზოგიერთთა ჩადენას. ორმოცი წლის განმავლობაში ამერიკამ სხვა სახელმწიფოებთან ორგანი–
ზებულ მოქმედებით იღვაწა საბჭოების ბატონობის ასაცდენად; ევროპის გადამწყვეტი მნი–
შვნელობის არეში –ევროპაში მშვიდობა შენარჩუნებულ იქმნა ორმოცი წლის განმავლობაში.
მსოფლიო მნიშვნელობის საომარი შეხლა აცდენილიქმნა ახლო და შორეულ აღმოსავლეთში.
მშვიდობა შენარჩუნებულ იქმნა რადგან ამერიკამ მუქარითა და ძალის გამოყენებით არ დაუ–
შვა ძალთა წონასწორობის რადიკალურად გამოცვლა.

ამერიკელთა ნაგულისხმევ გარანტიის აუცილებელი საჭიროება აშკარა გახდება, თუ წარმო–
ვიდგენთ არ არსებობას ამ გარანტიისა. პირველი ნაბიჯი საბჭოებისა აუცილებლად იქნე–
ბოდა სამხედრო დაწოლა ჩინეთის მარქსისტულ მაგრამ დამოუკიდებელ მთავრობაზე, რომ ეს
მთავრობა შეეცვალა უფრო მორჩილ ხელისუფლებით (რეჟიმით) რუსეთის მიმართ. მაშინ გზა
გახსნილი იქნებოდა იაპონიის „ფინლიანდიზაციისათვის" . ესე იგი დროთა განმავლობაში იაპო–
ნიაში წარმოიშობოდა საბჭოეთისადმი უფრო შემრიგებლური რეჟიმი. და მსოფლიოს ეკონო–
მიურად მესამე სიდიდის სახელმწიფო საბჭოების ორბიტაში აღმოჩნდებოდა.
შორეულ აღმოსავლეთის ნეიტრალიზაციის შემდეგ საბჭოეთი ევროპისაკენ და კერძოდ „გერმა–
ნულ პრობლემისაკენ" მიბრუნდებოდა. ბერლინზე დაწოლის შედეგად , რასაც დასავლეთ ბერლინის
ევაკუაცია მოჰყვებოდა, საბჭოები დაწოლითვე გამოიწვევდნენ გაერთიანებას გერმანიისა
ნეიტრალურ მთავრობით, იგიც მალე იმავე ფერს მიიღებდა, როგორც უკვე მორჩილ იაპონ–
იისა. ათ წელიწადში მსოფლიოს ეკონომიური წოასწორობა და აქედან–სამხედროც, სამუდამოდ
და დაუბრუნებლად შეიცვლებოდა. ამერიკა აღმოჩნდებოდა იზოლაციაში, მისადმი მტრულად
ან უკეთეს შემთხვევაში ნეიტრალურად განწყობილ სამყაროში.
რეალისტთაგან ალბად ცოტანი უარყოფენ ამ მოვლენათა მოხდენის შესაძლებლობას, თუ ამერი–
კელთა გარანტია გაგრძელებულ არ იქმნა კონგრესის მიერ –მისი კვლავ განახლებით და
დამტკიცებით. სამოცდაათიან წლების ხანაში მსოფლიომ იხილა პრელუდია იმისა, თუ რა მოხ–
დებოდა ამ გარანტიის უმისოდ : როცა კონგრესმა კონსტიტუციის 70 შესწორების მიღებით
განსაზღვრა და შეზღუდა პრეზიდენტის უფლებები გარეშე პოლიტიკაში. ზოგმა ამ შესწო–
რებათაგანმა, ორ სუსტ პრეზიდენტის მართველობასთან ერთად , გამოიწვია ნაწილობრივი
პარალიზება ამერიკის გარეშე პოლიტიკისა. ამის აუცილებელი შედეგი იყო გაძლიერებული
აქტივობა საბჭოებისა და მათი მორჩილი რეჟიმებისა, როგორც მაგალითად კუბა და ვიეტნამი.
კამბოჯსა და ლაოსს დაამალეს მარქსისტული რეჟიმი. ასევე აღმ. აფრკას, სამხრეთ აფრიკას
და კარაიბის კუნძულებს. ხოლო უფრო სერიოზული და საშიში ის მოხდა, რომ საბჭოებმა თავი
თავისუფლად იგრძნეს ავღანეთის ოკუპაციისათვისაც .

იმავე სასუსტის წლებში ვიხილეთ უცხო სახელმწიფოთა მიერ დახმარებაგაწეული პირველი
სისტემატიური ტერორისტული თავდასხმები ამერიკის სამხედრო ბაზებზე და მოქალაქეებზე
უცხოეთში. . ნიქსონის ავტორიტეტის დაცემამ და კარტერ–ფორდის პრეზიდენტობამ აშკარად
გვაჩვენა, რომ საერთაშორისო სცენიდან ამერიკის გასვლა შექმნიდა სიცარიელეს, რომელსაც
დაუყონებლივ ამოავსებდნენ საბჭოები და მათ განკარგულებაში მყოფი „კანონგარეშე" ძალები.

აქ გამოთქმული ეს შეხედულება განაწილებულია დასავლეთის ყველა მთავრობათა მიერ და აგრეთვე მრავალ ნეიტრალურ სახელმწიფოთაგან. . ამიტომ მოხდა რომ რეგანის მიერ აღდგენა და რეაფირმაცია ამერიკულ გარანტიის განახლებისა დადებითად იქმნა მიღებული . თუმცა მცირე იყო რიცხვი მთავრობათა, რომელთაც პატიოსნება ეყოთ ეს საჯაროდ განეცხადებინათ. მაგრამ ნამდვილი სიძნელე ამერიკისათვის , როცა მან განაახლა მისგან განცხადებული გარანტია, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი იძულებული იყო ხელახლად განეცხადებინა ქონება უფლებისა, ახალ საშიშროების შემთხვევაში დამოუკიდებლად დადაუყონებლივ პასუხის გაცემისა— ზოგჯერ ძალის გამოყენებითაც. ამერიკის მრავალი მოკავშირეები, ნეიტრალურ ერებზე რომ არა ვთქვათ რა, მიუხედავად იმისა რომ სარგებლობენ ამერიკის მფარველობით, ხშირად ჩივიან ამ მფარველობის ფორმისა გამო. ისინი თხოულობენ მფარველობას, მაგრამ უჩივიან მის ასრულებას. მაგალითად მრავალი იტალიელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმისა გამო რომ რეგანმა სიცილიაში მდებარე ოტანის ბაზა გამოიყენა რომ მიწაზე დაჯდომა დაეძალებინა ეგვიპტელთა თვითმფრინავისათვის, , რომელშიც ოთხი პალესტინელი მეკობრე იჯდა. იტალიას უფრო მძიმე პრობლემა აქვს ტერორიზმის გამო, ვიდრე ამერიკას. რეგანის მოქმედება იტალიის ინტერესს ემსახურებოდა , მაგრამ ეროვნული სიამაყე შეილახა.

ამერიკელთა ინიციატივას კოლექტიურ დავდაცვის ორგანიზაციისათვის მრავალ შემთხვევაში არა კეთილად ხვდებიან. ზოგიერთი ევროპელ მთავრობათაგან დიდი სიძნელით თანხმდება რაკეტების განლაგებაზე. სხვანი გადაჭრით უარს ამბობენ. ახალი ზელანდია, რომლის თვით არსებობა ამერიკელებზე არის დამოკიდებული, უარს ამბობს ამერიკელთა ნუკლეურ გემების მიღებაზე მათ ნავსადგურებში. უეჭველია, სხვა მაგალითებსაც ვიხილავთ მომავალში ამ ხასიათის უთანხმოებისა. (1)

ძლიერ უხეში დაწოლის პოლიტიკა ამ დარგში, მის მოკავშირეთა დახმარების გარეშე დასტოვებს ამერიკელებს და ძლიერ კრიტიკის ობიექტად აქცევს მას.

ამასთანავე საბჭოების საზღვაო ძალების ზრდასთან ერთად , მშვიდი და ინდოეთის ოკეანეები ნელ—ნელა ემსგავსებიან დიდი მასშტაბის კარაიბის ზღვას, სადაც მომწიფებულია გამოხდომები საბჭოებისა და მათი აგენტი ქვეყნებისა, როგორც მაგალითად ვიეტნამელთა. ერთხელ კიდევ ამერიკა იძულებოლი იქნება წინაღუდგეს საბჭოების განვრცობის ცდებსასწრაფო რეაქციით და ძალის მეშვეობით , რაც მას მოუტანს კრიტიკას ადგილობრივ მოსახლეობისა და ევროპისას.

სხვა პრობლემას წარმოადგენს სამხრეთ აფრიკის გეოგრაფიული მდებარეობა. იგი წარმოადგენს ჰისკარს დასავლეთ აფრიკის ამ ფართო ზონისა. სამხრეთ აფრიკაში მდებარეობენ საბადოები მრავალ უპირველესი მნიშვნელობის ლითონებისა, რომელნიც აფრიკის გარეშე მხოლოდ საბჭოეთში მოიპოვებიან. თანამედროვე რეჟიმის შეცვლა მარქსისტული რეჟიმით, სტრატეგიული მნიშვნელობის კატასტროფა იქნება დასავლეთისათვის — ეკონომიურად და სამხედრო თვალსაზრისით. მაშასადამე კიდევ ერთხელ ამერიკამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც არავის მოეწონება.

ფაქტია რომ პოლიციელები არავის უყვარს. ის ფაქტი რომ ამერიკა დასავლეთის უძლიერესი სახელმწიფოა, მის წინაშე სვამს აგრეთვე პრობლემებს ყოფილ დიდ სახელმწიფოებისას, და არა მარტო სუსტ ქვეყნებისას. ყოფილ დიდ სახელმწიფოებში იგულისხმებიან ინგლისი და საფრანგეთი.

ამერიკა თითონაც იწვევს მის სიძნელეებს თავისი მართველობის ფორმისა გამო. იგი უფრო დემოკრატიულია ვიდრე მისი მოკავშირენი. მის მოქალაქეებს კონსტიტუციით, ნება ქვთ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების თვით პროცესში. ამის გამო პოლიტიკა კეთდება რამდენადაც შეიძლება აშკარად. ჩვენი პრესა ნამდვილი „მეოთხე ძალაუფლებაა“. ამისგამო მოსავშირეთა მთავრობები თავშეკავებით აწარმოებენ თავიანთ საიდუმლო საქმეებს თეთრ სახლთან. ყოველი დიდი თუ პატარა მნიშვნელობის მქონე საქმე და ახალი რამ, საიდუმლოდ მიეყიდება პრესას ან საჯაროდ ცნობად არის გამოცხადებული. ზოგიერთი უცხო მთავრობა უდანაშაულოდ ჩარეული აღმოჩნდა უმოწყალო ბრძოლაში, ატეხილში პრე—

ზიდენტსა და კონგრესს შორის. პრეზიდენტსა და სახელმწიფო დეპარტამენტს შორის ან თვით პრეზიდენტის გარშემო მყოფ პირთა შორის, სჩანს ამ ბუნებრივ ნაკლოვანებას წამალი არა აქვს. ამერიკის მოკავშირეებმა უნდა აიტანონ ასეთი მდგომარეობა, სამაგიეროდ ამერიკამაც უნდა აიტანოს მუდმივი წინააღმდეგობის მიმდინარეობა, რომელსაც იწვევს ზემოდ დახატული სურათი. ე.ი. უთანხმოება, რომელიც სააშკარაოზე გამოდის, როცა ამერიკა მოქმედობს დაუკითხავად და შეთანხმების გარეშე თავისი მოკავშირეებისა.

ეს მტრული განწყობილება გამოწვეულია , მსოფლიოს მიერ არცნობით ამერიკის წარმოშობის პირობებისა და მისი ხასიათისა. და ეს მაშინ, როცა ამერიკის პოპულარული კულტურა უნივერსალურად არის ქცეული. თვით ინგლისშიც მხოლოდ ახლახან შემოიღეს ამერიკის ისტორიის სწავლება სკოლებში. მთელ მსოფლიოში ამერიკის სურათი წარმოუდგებათ ვით ქვეყანა ძლიერ მდიდარი, ძალიან დიდი ძლევამოსილი და ძალადობით მბრძანებელ მაიძულებელი (OVERBEARING).

ხშირად ივიწყებენ , რომ ამერიკა უპირველესად, მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა. რომ ოცდაათიან წლებში მის არმიას მეთექვსმეტე ადგილი ეკავა მსოფლიოში. ევროპელი პოლიტიკოსები და მთავრობები (დემოკრატიულები) მას ამაოდ ევედრებოდნენ გამოსულიყო თავისი იზოლაციონური პოლიტიკიდან, რომ თავიდან აეცდინათ მოსალოდნელი ომის გაჩაღება. ამერიკა დიდ სამხედრო ძალის სახელმწიფოდ იქცა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომისა და მომყოლ კატასტროფათა გამო. . ამერიკამ მიღებულ გაკვეთილიდან ბევრი ისწავლა. და მისშემდეგ მან აღასრულა მისი საერთაშორისო მოვალეობა. აღასრულა შეუწყვეტლად. მაგრამ იზოლაციონისტური მიდრეკილება დარჩა ამერიკელთა შორის, ასევე როგორც მიდრეკილება პროტექციონიზმის ჯებირთა შენარჩუნებისა. ამ ორი მიდრეკილების ცოცხლად არსებობა დიდ დაბრკოლებას ჰბადებს ამერიკის მთავრობისათვის.

ამ სიძნელეებმა განსაკუთრებით თავი იჩინეს პრეზიდენტებისათვის. ამერიკელთა ეროვნულ და ბუნებრივ მიდრეკილებათა და სახელმწიფოს საერთაშორისო მოვალეობათა შორის არსებულმა კონფლიქტებმა დაამსხვრიეს ისეთი უნარიანი და ძლიერი კაცი, როგორიც იყო ლინდონ ჯონსონ. იგივე კონფლიქტი იყო მიზეზი ბრძოლისა რიჩარდ ნიქსონსა და ამერიკის პრესას შორის, იგივე იყო მიზეზი „ვატერგეიტისა" და ნიქსონის დაცემისა. ამავე კონფლიქტმა წარმოაჩინა ჟერარ ფორდი – კაცი პატიოსანი და კეთილის მსურველი – რომელიც არ აღმოჩნდა თავისი მოვალეობის სიმაღლეზე. და ამ კონფლიქტმა გადააქცია ჯიმი კარტერის მართველობა თითქმის კატასტროფად მართველობა კაცისა რომელმაც დიდი იდეებით და იმედებით დაიკავა თავისი პოსტი.

რენალდ რეგანის დიდი დამსახურებაა რომ მან ბოლო მოუღო ჰკუანაკლულ პრეზიდენტთა (DEBILITAYTED) მეფობას. (2)

პრეზიდენტი რეგანითავდარწმუნებით და ოპტიმიზმით წარმოადგენს და მეთაურობს თავის ქვეყანას. იგი არის კაცი რომელსაც აქვს რამდენიმე მარტივი და ნათელი იდეალირომელთა ვარგისობაში იგი ღრმად დარწმუნებულია და ამ მის იდეალს ინაწილებს ქვეყნის უმრავლესობა.

მაგრამ რადგანაც იგი ტიპიურად ამერიკელია, პრეზიდენტი რეგანი, მიუხედავად საბჭოების განზრახვებში დიდად დაეჭვებისა და მიუხედავად დარწმუნებისა რომ ამერიკამ მხოლოდ ძლიერებაზე დამყარებით უნდა აწარმოოს მოლაპარაკება, მიუხედავად ყველა ამისა პრეზიდენტი ოპტიმიზმით უცქერის საბჭოებთან მოლაპარაკების საკითხს. მას მიაჩნია რომ ასეთი მოლაპარაკება ამაო არ არის. ამიტომ არის რომ მიუხედავად საბჭოების მიერ პროპაგანდული მიზნით გამოყენებისა ასეთი მოლაპარაკებებისა იგი მაინც წავიდა ჟენევაში. ამავე მიზეზით არის რომ მიუხედავად საბჭოეთის მიერ იარაღის შეზღუდვის შეთანხმების მრავალჯერ დარღვევისა იგი მზად არის განაგრძოს იმავე გზით მიმართული ცდები

რატომ არ უყვართ ამერიკა. როგორც მის თანამემამულეთა უმრავლესობას, არც რეგანსა აქვს თანდაყოლილი პესიმიზმი და ცინიზმი ევროპიელებისა. როგორც მის თანამემამულეთა უმრავლესობას, მას ჰსურს იყოს მშვიდობის კაციმაგრამ პრეზიდენტი რეგანი და საერთოდ ამერიკა იძულებულნი არიან ცნონ მწარე რეალობის აუცილებლობა , რაც იმაშია რომ საბჭოებთან დადებული ხელშეკრულების უცდომელობა და მათი პირობების ასრულების კონტ–

როლი საკითხს გარეშეა. პრაქტიკაში ეს იმას ნიშნავს რომ რეგანი და მასთან ამერიკაც გაკიცხულ იქნებიან ამ ხელშეკრულებათა მარცხით დაბოლოების გამო. და ამერიკამ უნდა აიტანოს ერთდროული აღშფოთება, როგორც საბჭოების ასევე თავისუფალ სამყაროსი.

ფაქტი ის არის, რომ თუ ამერიკას ჰსურს რეალური მეთაურობა თავისუფალ სამყაროსი, შეუძლებელია რომ ამავე დროს იგი სიყვარულის საგანსაც წარმოადგენდეს.
ანტიამერიკანიზმი ყოველგანაა. იგი პირდაპირი შედეგია იმ ფაქტისარომ ამერიკა თავის მოვალეობას ასრულებს. ეს აგრეთვე შედეგია სხვადასხვა სახელმწიფოთა ლიდერების გამუდმებული წუწუნისა. უეჭველია რომ ანტიამერიკანიზმი ირაციონალურ ემოციათა და არაკეთილშობლურ გრძნობებით საქციელის კატეგორიას ეკუთვნის. ასეთივეა ანტისემიტიზმი, რომელიც ზოგ შემთხვევებში ანტიამერიკანიზმმა შეცვალა. ეს არის ემოცია, რომელიც ვერ გამართლდება ვერცა ლოგიკით და ვერც ფაქტებით.

ყოველ მოგზაურს ვინც ჩემებრ მოიარა ამერიკა, აბსურდულად წარმოუდგება შეხედულება რომლის მიხედვით ამერიკა ჩაცობრიობის მჩაგვრელია. სინამდვილეში, ზოგიერთი მხრივ ამერიკა თვით ანსახიერებს კაცობრიობას. იგი კაცობრიობის მიკროკოზმია ანუ შემცირებული სახეობაა. (3)

ამერიკა ყველაზე დიდი მრავალეთნიური საზოგადოებაა როგორიც კი ოდესმე დედამიწაზე არსებულა. და დღესაც ჩვენს თანამედროობაში იგი განაგრძობს სულ ახალ და ახალ ნაკადებით შევსებას და განვრცობას თავისი სხეულისა.
1770 წელს, დოქტ. სამუელ ჯონსონი, როცა ლონდონის უზარმაზარობას და მრავალფეროვნებას აღწერდა, ამბობდა: „კაცი ვისაც ლონდონი მოძულდება, მას სიცოცხლეც მოსძულებიაო". ჩვენ დროს შეგვიძლია ამ ნათქვამის პარაფრაზება: „კაცი ვისაც სძულს ამერიკა, ასევე მოძულეა კაცობრიობისაო". მაშასადამე ამერიკის მოსახლეობის პოლიეთნიკურმა შემადგენლობა–ხასიათმა უნდა მიანიჭოს ამერიკის ხალხს და მის პრეზიდენტს მშვიდი რწმენა მათი მოქმედების სიმართლეში (მვალეობის ასრულებაში). თუნდაც ამას ჯერჯერობით, მოკლე ვადით, თან სდევდეს მწარე კრიტიკა.

ლორდ პალმერსტონი, რომელიც დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობდა 1830 1865 წლებში, როცა ინგლისის როლი იგივე იყო, რაც როლი დღევანდელი ამერიკისა, აზრს გამოთქვამდა რომ ვარგისი პოლიტიკის წარმოება უეჭველად უკმაყოფილების გამომწვევია. ერთადერთი კმაყოფილება პოლიტიკოსისა ის არის, რომ მან კარგად იღვაწა. ხოლო ჟამთასვლა მას გაამართლებსო. ამერიკელებმა თავისად უნდა მიიღონ ეს შეხედულება. ვიდრე ამერიკა ეწევა დინამიურ და ძლიერ პოლიტიკას, მსოფლიო მას გაჰყვება–თუნდაც ძალაუნებურად და ძლიერი კრიტიკის გამოთქმით. მსოფლიო კატეგორიულად უარს იტყვის სუსტ და მერყევ პოლიტიკის გაყოლაზე. ახლო აღმოსავლეთი. სახელმწიფო ტერორმა შეიძლება ომი მოიტანოს.
ამერიკის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში რეაქციის(წინააღმდეგობის გაწევის) პოლიტიკა იყო. იგი კრიზისიდან კრიზისამდე მიდის. ეს მისი აუცილებელი ხასიათია. როცა ამერიკას შეუძლია ინიციატივა აიღოს, ამერიკა უნდა სარგებლობდეს შემთხვევით და გამოვიდეს ვით ინიციატორი, მაგრამ ამერიკამ თითონ არ უნდა ეძიოს ეს, რომ მან თავი არ აჩვენოს თითქოს ასეთი მოქმედება მას აინტერესებდეს. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის პრობლემის რეზულტატებს, 1985 წლის განმავლობაში მხოლოდ იმაზე ილაპარაკეს, თუ რა უნდა ილაპარაკონ მომავალ კონფერენციებზე. 1986 წელს შეიძლება ჩვენ მეტი შანსი გვქონდეს რომ, თუ არა ნამდვილი მოლაპარაკება, მოლაპარაკების დასაწყისი მაინც ვიხილოთ. მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია მრავალსახელმწიფოებიანი კონფერენცია, რადგან რაც მეტია მონაწილენი, მით უფრო ძნელია შედეგის მიღწევა. უნდა ვიფიქროთ რომ პირველ სტადიაში მხოლოდ ისრაელი და იორდანია მიიღებენ მონაწილეობას– იორდანია იქნება პალესტინელთა წარმომადგენელი. მე ვისურვებდი ოპტიმისტი ვიყო, მაგრამ ოცდაათი წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით ვის შეუძლია ოპტიმისტი იყოს.

ამერიკას არ შეუძლია ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა დაამყაროს. ამერიკასძალუძს შუამავლობა. ობსერვატორობა. მას შეუძლია საჭირო დროს დაწოლის მოხდენა ხოლო საბოლოო ანგარიშში მშვიდობიანობა უნდა გამომუშავდეს არა ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთს შორის, არამედ არაბებსა და პალესტინელთა შორის, ერთი მხრივ და არაბთა და ისრაელს შორის მეორე მხრივ,

ამერიკამ რომელიც ამ საქმეში გარეშე პირია , უკვე საკმაოდ იწვნია, სხვა სახელმწიფოებსაც იგივე მოუვიდა.. ამერიკა მსოფლიო რიგის სახელმწიფოა, ამის გამო მას არ შეუძლია არ დაინტერესება ახლო აღმოსავლეთით. პირიქით, მან უნდა უცადოს ხელსაყრელ შემთხვევას და იმოქმედოს, როგორც მოიქცა პრეზიდენტი კარტერი კემპ დავიდში, ასეთ შემთხვევის დროს აუცილებელია საჭირო ნაბიჯის გადადგმაც.

სხვა პრობლემებიც არის ახლო აღმოსავლეთში რომელთაც ამერიკამ უნდა უთვალთვალოს , ზოგი მათგანი არაბ–ისრაელთა კონფლიქტზე უფრო გამახვილებულია. სუდანის საკითხი იქნებ ყველაზე მძიმე იყოს ახლო აღმოსავლეთში. სუდანს დაუყონებლივ ემუქრება აჯანყება – მის სამხრეთ ნაწილში. და ასევე ემუქრება მძიმე ეკონომიური კრიზისი. ლიბია ან თვით საბჭოთა კავშირი ცდილობენ მის ჩართვას თავიანთ ორბიტაში, რაც ეგვიპტეს შეეხება, მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა თუ ვინ იქნება სუდანის პატრონი და მმართველი. ამერიკამ მხარი უნდა დაუჭიროს ეგვიპტეს და ეს უნდა ქმნას აშკარად და ოფიციალურად.

ირან –ირაქის ომი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ეს ომი 1986 წელში არ გაჰქრება. თუ ეს ომი სპარსეთის ყურეზე გავრცელდა, მაშინ იგი პირდაპირ შეეხება ამერიკისა და ევროპის ინტერესებს. თუმცა ამჟამად ნავთის ნაკლებობის საშიშროების საკითხი არა სდგას. შესაძლებელია ოთხმოცდამეექვსე წლის განმავლობაში ვიხილოთ ომი აიასოლას მემკვიდრეობისათვის.

ცხადია შესაძლებლობა მუდამ არსებობს მუსულმანურ მოძრაობის ამოქმედებისა ამათუიმ კუთხეში. არც ომი არის გამორიცხული ლიბიასა და ალჟირს, ლიბიასა და ეგვიპტეს ან თვით სამოქალაქო ომები სხვა ქვეყნებში. მუსულმანურ მოძრაობის რენესანსი წარმოშვა დასავლეთით გაწბილებამ. გაწბილებამ ახლო აღმოსავლეთის ხალხების იმედებისა, დასავლეთის იდეები და წესები ვერ დაემყნენ მათ თავისებურ ბუნებას. მაგალითად უაზრობა იყო ბელგიის კონსტიტუციის შემოღება ეგვიპტისათვის რადგან ეგვიპტე ბელგია არ არის, აღმოსავლეთს ახალი კრედო სჭირდებოდა და იგი თავიანთვე რელიგიაში იპოვნეს. (4)

ყველა ამ მოძრაობებმა და მოვლენებმა რომელთა შესახებ ვითაპარაკეთ, ძირი გამოუთხარეს დასავლეთის გავლენას. ამერიკა ვით დასავლეთის უძლიერესი სახელმწიფო, მათთვის ამ მიუღებელ მოდერნულ იდეათა სიმბოლო და განსახიერებაა. მაშასადამე ამერიკა ერთი სატანათაგანია, საბჭოთა კავშირი კი – მეორე. მაგრამ მუსლიმთა მოძრაობისათვის ჯერჯერობით ამერიკა უფრო დიდი სატანაა.

ტერორიზმი გაგრძელდება ამ რეგიონში. ამჟამად ამერიკა შედარებით ნაკლებად მისაწვდომიამ. –მას შემდეგ რაც ამერიკის ჯარებმა ლიბანი დასტოვეს. ხოლო არ უნდა გადავაჭარბოთ ტერორიზმის პოლიტიკური მნიშვნელობა. აქამდე ტერორიზმს არცერთი მთავრობა არ გადაუყირავებია. ერთმანეთში არ უნდა ავრიოთ, ნამდვილი მოვლენები და მოვლენები პრესისათვის", ნამდვილი საფრთხე თვით ტერორიზმიდან კი არ მოდის, არამედ იგი იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ტერორიზმს შეუძლია ნამდვილი ომის გამოწვევა. ინდივიდუალური ტერორიზმის აქტები მტკივნეულია, მაგრამ მათ მალე ივიწყებენ და მათი აცდენა შეუძლებელია. არცერთ სახელმწიფოს, თვით უძლიერესსაც, თავისი მოქალაქეების უზრუნველყოფის გარანტია არ ძალუძს. მიმდინარე წლის განმავლობაში, მძევლად აყვანილ ამერიკელთა რიცხვი, ახლო აღმოსავლეთში, დამოკიდებულია უბრალოდ, იმ ამერიკელთა რიცხვზე, რომელნიც ამ მხარეში იმგზავრებენ. ბოდიშს ვიხდი რომ ეს უნდა ვსთქვა.

აღმოსავლეთ–დასავლეთი. მოსკოვი აძლიერებს თავის დაწოლას და გავლენას ევროპაში.

ამერიკასა და საბჭოებს ორივეს ესურვებოდა დაძაბულობის მოშვება მათ შორის. ამიტომ ვ ვხედავ ნიშნებს შესაძლებლობისა ასე თუ ისე ძნელ მოლაპარაკების შემდეგ, კარგი დამოკიდებულების დამყარებისა მათ შორის.

მთავარი საკითხი შეიარაღების შეზღუდვაა. ჟენევის შეხვედრამ არცერთი პრობლემა არ გადაწყვიტა, მაგრამ მან ისინი ფოკუსში მოაქცია. თვით ფაქტი რომ ეს კონფერენცია შესდგა, და რომ მან ზედაპირული შედეგები მაინც მოიტანა, გამამხნევებელია. როდესაც გორბაჩოვი ამერიკას ესტუმრება, ივნის–ივლისში, კარგი ამინდი და მეგობრული განწყობილება საკმარისი აღარ იქნება. ორივე მხარე თავიანთი ქვეყნების დაწოლის განცდის ქვეშ იქნება, რომ მიაღწიონ

ზურაბ შარაძის ბიბლიოთეკა

შედეგებს, რომელნიც ჟენევის ზედა-ჰრულ შედეგებზე უფრო შორს წავლენ. მე ვიტყოდი რომ შეიარაღების საკითხზე შეთანხმების შანსი შეიძლება ორმოცდაათი პროცენტით ვიანგარიშოთ. ასეთი შეთანხმებები უნდა შეეხოს სტრატეგიულ თავდაცვის ინიციატივასაც—მაგრამ ისე რომ ამერიკამ იგი არ მიატოვოს. ამერიკელებს შეუძლიათ სთქვან: ჩვენ მზადა ვართ ვილაპარაკოთ მაღალ ტექნოლოგიურ თავდაცვის მომავალზე მას შემდეგ, რაც ძიება დასრულდება. მაგრამ ჩვენ ვერ შეგპირდებით რომ თავს დავანებებთ ამ ძიებას— არ ვიცი რამდენად დაკმაყოფილდებიან საბჭოები ასეთი პასუხით. შეუძლებელი არ არის რომ დაკმაყოფილდნენ. შესაძლებელია რომ ამერიკელთა პოზიცია იმდენად ორჭოფული იყოს, რომ ზოგი კატეგორიის ატომური იარაღი განსაზღვრულ იქმნეს 86 წელში, ხოლო საერთო უფრო გლობალური საკითხი სტრატეგიულ თავდაცვის ინიციატივისა უფრო გვიანდელ დროისათვის გადაიდოს. ადმინისტრაცია კარგ გზაზეა დამდგარი. პრეზიდენტ რეგანმა დიდ პოლიტიკურ გამარჯვებას მიაღწია ჟენევაში. მას წინასწარ არავითარი დათმობა არ გაუკეთებია. რასაც საბჭოები მოითხოვდნენ. მაგრამ იგი ძლიერ მეგობრულად და გულახდილად ელაპარაკა მათ, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაში. თუ ჩვენ ასე განვაგრძეთ, ევროპის საზოგადოებრივი აზრი ჩვენს ბანაკში უნდა ვიგულოთ.

მიუხედავად საბჭოელთა ჯაფისა და ცდისა ჩვენი ერთმანეთისაგან დაშორებისათვის, ჩვენი მოკავშირეობა არ მოკვდება და გადარჩება !, მაგრამ უეჭველია რომ ამ წლის განმავლობაში ჩვენ მოწმენი ვიქნებით ახალი დაწოლისა და ცდებისა ჩვენს ევროპელ მოკავშირეთა მიმართ როგორც მაგალითად: „თქვენ უნდა მეტი ენერგია გამოიჩინოთ რომ ამერიკელები დაარწმუნოთ უფრო გამგებიანი პოზიცია დაიჭირონ სტრატეგიულ თავდაცვის და სხვა პრობლემებში" — „ჩვენ თქვენ არ გემუქრებით მაგრამ ნუ იქნებით მთლიანად ამერიკის მხარეზე". ამერიკამ ასეთ პოლიტიკურ თამაშს გონიერად უნდა უპასუხოს. მან დიდი მოქნილობა უნდა გამოიჩინოს მოლაპარაკებებში მაგრამ ამავე დროს არაფერი არ უნდა დათმოს მთავარი პუნქტებისა.

მიმდინარე წელიწადი ალბად მოგვიტანს მრავალ კრიტიკას და ბრალდებებს ერთმანეთის მიმართ ორივე მხარისა. ეს რიტორიკა ალბად ხელშემშლელი არ იქნება საქმის წინსვლისათვის. თუ საბჭოელები გადაწყვეტენ რომ მოლაპარაკება მათთვის სასარგებლოდ მიმდინარეობს, მათ ძალუძთ დაივიწყონ ურთიერთმიმართ წარდგენილი ბრალდებები.

შეიარაღების განსაზღვრას ემატება ორი დიდი საკითხი, რომელნიც სადავო არიან ორ დიდ სახელმწიფოთა შორის ესენია: მორიდებულად წოდებული, რეგიონალური საკითხი და ადამიანის უფლებათა საკითხი. თითქმის მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში, რუსეთისა და ამერიკის ინტერესები ურთიერთს ეწინააღმდეგებიან. ყველაზე დიდი ტერიტორიალური პრობლემა უეჭველად ავღანეთია. ეს კლასიკური მაგალითია, როცა ამერიკელებმა გაჰკიცხეს საბჭოელების ინტერვენცია და სადაც საბჭოები ცდილობენ და განაგრძობენ მათ მიერ შექმნილ მარიონეტულ რეჟიმის შენახვას. მოსკოვის პოლიტიკის გამოცვლა ავღანეთში ამ წლის განმავლობაში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ წარმოუდგენია და ესმის გორბაჩოვს საბჭოური ექსპანსიონიზმი. ეს აგრეთვე დამოკიდებული იქნება იმაზე, არის თუ არა გორბაჩოვი მზად რომ ზომიერება შეიტანოს კრემლის პოლიტიკაში. ეს დამოკიდებული იქნება აგრეთვე თვით გორბაჩოვის სტაბილურ მდგომარეობაზე მისსავე პარტიაში. ეს მისი მდგომარეობის სტაბილობა თუ არა სტაბილობა, დასანახი გახდება თებერვლის პარტიულ კონგრესის დროს. (5 )

ნაკლებად სავარაუდოა რომ მოსკოვი ჯარებს გაიყვანს ავღანეთიდანმაგრამ შესაძლებელია რომ მან დასვას ახალი მარიონეტული მთავრობა, რომელიც უფრო მისაღები იქნება მოსახლეობისათვის.

მეორე, ინტერესთა შეჯახების ადგილია სამხრეთ აფრიკა. თუმცა ეს სადავო საკითხი აუცილებელი არ არის რომ კიდევ უფრო გამწვავდეს ამ წელს. მოსალოდნელია რომ ვიხილავთ ძლიერს გამწვავებას დამოკიდებულებისა თეთრ უმცირესობასა და შავ უმრავლესობას შორის. საბჭოების დახმარება სუბვერსიულ პარტიისადმი ძლიერ დაამძიმებდა საბჭოურ— ამერიკულ ურთიერთდამოკიდებულებას. მეორეს მხრივ, ამერიკისათვის ძლიერ ძნელია სამხრეთ აფრიკის მთავრობისათვის მხარის დაჭერა. რადგან ამერიკა და დანარჩენი მსოფლიო უარს ამბობენ დათანხმდენ და სცონ რასიული გაყოფა(აპარტაიდ). ბოლოს საკითხი ადამიანის უფლებისა. უკვე მიხდა მცირე გაუმჯობესება ამ საკითხში. და უნდა მოველოდეთ რომ ეს გაგრძელდება. არავინ მოელის რომ საბჭოთა

კავშირი ადამიანის უფლებებს გაიგებს და მოეპყრობა მიხედვით დასავლური კონცეპციისა. ეს აუცილებლად საბჭოთა რეჟიმის დაშლას გამოიწვევს. მაგრამ მოსალოდნელია რომ საბჭოები უფრო ლბილად და თანხმობით მოეპყრობიან საკითხს ებრაელთა ემიგრაციისა. და ალბად ჩვენ ვიხილავთ ებრაელ ემიგრანტთა რიცხვის საგრძნობ გადიდებას,

ეს მოვლენები მოხდება თუ ამერიკა განაგრძობს საიდუმლო დიპლომატიის წარმოებას ამ საკითხში. პრეზიდენტ რეგანმა აღნიშნა ჟენევაში რომ მას განზრახული აქვს ასეთი პოლიტიკის გაგრძელება. ახლა საკითხია ვიცოდეთ თანახმა იქნება თუ არა ამაზე კონგრესი. და საზოგადოებრივი აზრი. ცხადია გორბაჩოვი უკუაგდებს ამერიკელთა ყოველგვარ პირდაპირი ხასათის დაწოლას ადამიანის უფლების საკითხში. ასეთ მოქმედებას საშუალო თვლის ჩარევად მათ შინაურ საქმეში ასეთი მოქმედება მუდამ მძაფრ რეაქციას იწვევს საბჭოელებისა.

აზია. ამერიკელთა მიდრეკილება პროტექციონიზმისაკენ აზიის ქვეყნების მიმართ, ძლიერ აშინებს ამ დიდი მატერიკის ვცხოვრებთ. ეს შიში განსაკუთრებით განცდილია არა კერძოდ იაპონიაში, არამედ სხვა ახლად ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში– სამხრეთ კორეაში, ტაივანში, ჰონკონგსა და სინგაპურში. ისინი ამბობენ რომ თუ მათი ეკონომიური განვითარება შეჩერდება, ამერიკელთა პროტექციონიზმის მიზეზით, ამ ქვეყნების მემარცხენე ელემენტები თავს წამოჰყოფენ და ამერიკას ბევრად უფრო ძვირად დაუჯდება ეს ახლად წარმოშობილი პრობლემები, ვიდრე მისი სავაჭრო ურთიერთობის წონასწორობა ამავე ქვეყნებთანო.

არ უნდა დავივიწყოთ რ:მ აღმოსავლეთ აზიის ხალხებს დიდი ვაჭრული ტრადიცია ახასიათებს. მათი პოზიციაა: „ჩვენ მზადა ვართ თქვენთან აღებმიცემობა ვაწარმოოთ და ჩვენი საქონლის ექსპორტი განვავითაროთ, მაგრამ შემოზიდვით კი მხოლოდ აუცილებელ მინიმუმს შემოვზიდავთო“. ეს პოზიცია ალბათ არ შეიცვლება. (6)

ჩინეთი პოლიტიკურ სფეროში საგარეო საქმეებში, დამოუკიდებლად ვლისათვის ცდის პერიოდშია. მაგრამ თუ ამერიკასა და საბჭოებს შორის დამოკიდებულება გაუმჯობესდა, უნდა მოველოდეთ რომ ჩინეთი ცოტათი უფრო დაუახლოვდება ვაშინგტონს.

ინდოეთში რაჯი განდი ეცდენა ახალი სახე მიანიჭოს თავის ქვეყანას. იგი შეეცდება შეამციროს დავა პაკისტანთან და ამით უკეთ გამოჩნდეს ამერიკელთა თვალში. მაგრამ მღელვარება ალბად გაგრძელდება ინდოეთში – სიკთა ტერორისტულ პოტენციალისა გამო.

აზიის სხვა მხარეებში, ამერიკა–ვიტნამის დამოკიდებულება ცოტათი უმჯობესდება. მოსალოდნელია რომ ვიეტნამელებს სირცხვილი ხელს არ შეუშლის, რომ შეეცადნენ და ამერიკელ დახოცილ ჯარისკაცთა გვამების, ამერიკაში გადასვენების საკითხი სავაჭრო საგნად გადააქციონ. მაგრამ უნდა ვიფიქროთ რომ ამას ისინი ვერ შეძლებენ– ყოველ შემთხვევაში, ვიდრე მათი ჯარები კამბოჯში იმყოფებიან. ჰანოის მთავრობა მეტად და მეტად იზოლირებულიამაშინ როცა სინგაპური და ინდონეზია თავიანთ დამოკიდებულებას აუმჯობესებენ ჩინეთთან. ტაილანდი უნდა მოელოდეს გაძლიერებას საზღვაო შეტაკებებისა და მაშასადამე შეეცდება ნორმალურად აქციოს ვიეტნამთან ურთიერთობა.

მაგრამ ყველაზე საშიში და მტკივნეული საკითხი ფილიპინებია. აქ არა სჩანს ნათელი და კარგი გამოსავალი. ამ ქვეყანას სხვა უფრო მძიმე პრობლემები გააჩნია ვიდრე პრობლემა არჩევნებისა. მარკოსს უსათუოდ ძალუძს არჩევნებში გამარჯვება, რადგან იგი მოქმედი პოლიტიკოსია და მასა აქვს ორგანიზაცია რომელმაც იცის როგორ მოიგოს ხმები. თუ მან არჩევნები მოიგო, ვაშინგტონს კიდევ უფრო გაუძნელდება მისი თავის ჭკუაზე ტარება. ამერიკელებმა იგი თითქმის აიძულეს არჩევნები მოეწყო ე. ი. დემოკრატიული პროცედურა ჩაეტარებია , მაგრამ თუ მან გაიმარჯვა, შესაძლოა იგი კიდევ უფრო ოტოკრატიულად იქცეს. მას შეეძლება სთქვას: „მე მესმის ჩემი ხალხისა და ჩემს ხალხს ვუყვარვარ მე და ახლა მე შემიძლია ეთხელდა სამუდამოდ ჩავაჩუმო ყოველი ოპოზიციაო“. მაგრამ არ უნდა მოველოდეთ რომ კომუნისტური აჯანყება გაძლიერდებაამ წელს :თუნდაც მარკოსმა არჩევნებში გაიმარჯვოს. ამერიკისათვის მთავარი პრობლემა იგივე იქნება: როგორ ამოსდოს ლაგამი ელიტას რომელიც ფილიპინებს განაგებს. ამერიკა ნაწილობრივად პასუხისმგებელია ამ პრობლემის არსებობისა, რადგან განსხვავებით იმისაგან რაცა ქმნეს ევროპულმა კოლონიალურმა სახელმწიფოებმა, მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებში, ამერიკამ ვერ მოახერხა შეექმნა ვარგისი ძლიერი ადმინისტრატიული კადრი.

მაშინ როდესაც წარსულში სახელმწიფო უბრალო ხალხს პატრონობდა, მარკოსი თავისებურ კაპიტალიზმს ამყარებს, სადაც ადგილები, იჯარები და მონოპოლიები მხოლოდ მდიდრებს ეძლევა ამის გარეშე მარკოსის მიერ დადგენილმა სამხედრო წესებმა, გაანადგურა დემოკრატია – რაკი არჩევნები არ არსებობდა, ოპოზიციური პარტიები დაირღვა და გაცამტვერდა. უკიდურედად მნიშვნელოვანია დემოკრატიის გაცოცხლება ფილიპინებში. ფილიპინის კუნძულები რომ გაკომუნისტდეს, (1894 წელს ესპანელთაგან ამერიკის მიერ წართმეული ეს კუნძულები , ერთერთი იშვიათი „ტერიტორიათაგანია“ , რომელსაც ამერიკელთა კოლონია შეიძლება ეწოდოს.) ეს იქნებოდა ამერიკის პრესტიჟის საშინელი მარცხი აზიაში. ეს მოვლენა სხვა მეზობელ ხალხებსაც გაუადვილებდა ამერიკის მფარველობიდან თავის დაღწევას. ხოლო სანავოსნო სტრატეგიული მდგომარეობა მთლიანად გადაყირავდებოდა – თუ საბჭოელები პატრონნი იქნებიან არა მხოლოდ DANANG –ის დაCAMARAH –ის უბეთა ვიეტნამში, არამედ დამატებით დაეპატრონებიან CLARK –ის საჰაერო ბაზას დაSUBIC – ის უბესაც ფილიპინებში.

თუ მარკოსი გაიმარჯვებს მომავალ არჩევნებში, შეერთებულმა შტატებმა დიდი მცდელობა უნდა გამოიჩინონ ეკონომიურ რეფორმათა მოსახდენად და მეტი ხვედრითი წონის მისანიჭებლად საშუალო კლასისათვის. მაგრამ შეცდომა იქნებოდა რომ ამერიკას დახმარება შეეწყვიტა ფილიპინელთათვის. თუ მარკოსი არჩევნებში დამარცხდა, მაშინ ფილიპინები ამერიკის გავლენის სფეროდან გავა და ამერიკისათვის ახალი თავსატეხი ამოცანა დაისმება, ამ კუნძულების კვლავ მის გავლენაში მოსაქცევად. ამისთვის ამერიკას ახალი მოლაპარაკება დასჭირდება ახალ მთავრობასთან.

შენიშვნები და კომენტარები.

(1) შენიშვნა შეეხება წერილის მესამე გვერდს. ეს „კოლექტიური თავდაცვის სიძნელე,რმელიც დასავლეთის თავისუფალი ქვეყნების დამახასიათებელია, ცხადია მომდინარეობს თვით იქიდგან " თუ რატომ ეწ:დება დასავლეთის ხალხთა ჯგუფს „თავისუფალი“. თავიეუფლება თვით თავსი შინაარსით და განმარტებით ამ ცნებისა, ანტიპოდია ყოველგვარ იძულებისა და მაშასადამე – უპირობო ან ბრმა მორჩილებისა. ხოლო ამას გულისხმობს და ამან უნდა შეჰკრას ერთ ეფექტურ ბირთვში მოქცეულ ძალად , ნებისყოფა და გადაწყვეტილების უფლება მთელი ბლოკისა. ეს კი შეუთავსებელია, არათუ თავისუფლებასთან, არამედ სუვერენობასთანაც. – მხოლოდ ინტერესებით გაერთიანებულ თავისუფალი ერებისა. ასეთი მდგომარეობა, ერთი შეხედვით, სუსტ პოზიციაზე მდგომად წარმოგვიდგენს ამ ბლოკის ბუნებრივ მეთაურს ამერიკას და მის მოკავშირეებს. და ასევე ერთი შეხედვით, ძლიერი პოზიციის მფლობელად მოგვაჩვენებს სოციალისტურ-კომუნისტურ ქვეყნების ბანაკს და მათ მეთაურს მოსკოვს. რადგან მოსკოვი ფლობს და იყენებს კიდევაც მთელს უფლებას როგორც გადაწყვერილების მიღებისა აგრეთვე მოქმედებისა. მაგრამ ყოველ მედალიონს ორი მხარე აქვს. თუ თავისუფალი ბანაკი უთანხმოებისა და კინკლაობის სურათს გვიჩვენებს ე. ი. – სწორედ სურათს თავისუფლებით სარგებლობისა, იგივე ბანაკი შეგნებულად შეკრულ ბლოკს წარმოადგენს და ყველამ იცის რომ ამას გამოაჩენს– როგორც კი უშუალო საფრთხე დადგება ამ „თავისუფლად სიცოცხლის დაკარგვისა“. აქედან გამომდინარეობს რომ ამერიკას შეუძლია ნდობა ჰქონდეს თავისი მოკავშირეებისა–რომ ნამდვილი საჭიროების ჟამს ისინი ვით ერთი კაცი თავისუფლების ჴლამს დაიცავენ.სულ სხვა სურათია იმ ბანაკში, სადაც მოკავშირეობა იძულებითია და სადაც სწორედ გაჭირვების ჟამს უნდა მოელოდეს მოსკოვი მორჩილებიდან გასვლას ამჟამად ქედმოხრილ ერებისა. ასერომ, როგორც ამერიკელი ავტორი ამბობს, ორივე მხარემ ამერიკამ და მისმა მოკავშირეებმა, უნდა აიტანოს ეს ზედაპირული უთანხმოება, რომელიც ბოლო ანგარი. შში უფრო ძალაა, ვიდრე სისუსტე.რადგან დასავლეთს ის სისუსტე აქვს რომელიც საფრთხესთანვე გაქრება რუსების მოჩვენებითი ძლიერება კი სწორედ გასაჭირის დროს გაჰქრება.

(2)შენიშვნა წერილის მოთხე გვერდისათვის.

აქ მკითხველის ყურადღება სულ სხვა რამეს უნდა მივაპყრო. ქართველებს ძლიერ გვეძნელება კრიტიკის ატანა- ჯერ პიროვნულად და შემდეგ აგრეთვე მათდამი მიმართულის, ვისაც რატომდაც უცდომელობის შარავანდედით ვმოსავთ ხოლმე. ამ საქციელში მე, ისევ პიროვნულ მოტივსა ვხედავ . ამ „უცდომელ" პირთა კრიტიკას ვერ იტანენ უმეტესად სწორედ ისინი, რომელთაც მოქალაქებრივი გამბედაობა არ ჰყოფნით გამოტყდნენ რომ სცდებოდნენ. აქ უბრალო ჯიუტობასთანა გვაქვს საქმე. ამერიკელი მწერალი თავის ორ პლეზიდენტს ჩერჩეტობის გზაზე მდგართა (დებილიტაიტებ) ეპიტეტით ამკობს და ეს ორი ყოფილი პრეზიდენტი დღესაც დიდი პირებია. განა წარმოსადგენია ქართულ პრესაში ვინმემ „გამოჩერჩეტებულად" მოიხსენიოს ის კაცი რომელმაც, ვაი რომ, ფორდზე და კარტერზე ბევრად მეტი დააშავა. ?

(3) წერილის მეხუთე გვერდი. რამდენიმე სიტყვა, „ამერიკა=კაცობრიობის" გამო.

რა თქმა უნდა მე ამ პატივცემულ ავტორისებრ არ მომივლია ამერიკა, მაგრამ თუ ამ კომენტარის დართვას ვბედავ ის მაბედვინებს რომ , ჩემ კვალობაზე მეც საკმარისად მოვიარე ეს ქვეყახა. საქმე იმაშია რომ ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში , ამერიკაში ყოველწლიურ საშუალოდ თვენახევრიან დაყოვნების დროს, სულ სხვადასხვა შტატებში მომიხდა ცხოვრება და ისიც ყოველთვის საშუალო სიდიდის პროვინციულ ქალაქებში, სადაც მოსახლეობასთან კონტაქტი ჯერ საერთოდ უფროადვილია და მითუმეტეს ამ გულღია და ყველას მიმართ კარგადღებულ ხალხში(რაც დიდ მრავალმილიონიან მეტროპოლიებში ყოვლად წარმოუდგენელიაღ ).

ადრე, როგორც უცხოელთა უმრავლესობა, მეც ნიუიორკის შესახებ არსებულ აღწერილობით ვიცნობდი ამ ქვეყანას. მაგრამ როცა ნიუიორკში რამდენიმე დღე გავატარე, ნახულმა განაგონს დიდად გადააჭარბა უარესობის მხრივ. ქალაქის ნახვა „ჩემი საკუთარი თვალით მოვინდომეადა ორი დღის განმავლობაში ფეხით გადავჭერი-ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიკიბულ-მოკიბული ხაზით . მაშინ „მხოლოდ" სამოცდაათი წლისა ვიყავ და ორმოცი კილომეტრის გავლა შემეძლო. ვერ წარმომედგინა რომ ქაჯური ღრიალით რაღაცის მომთხოვნ ზანგების რამდენიმეასეულიან ბრბოებს წავაწყდებოდი. ისიც მოულოდნელი იყო რომ ზოგ უბანში ასევე ასეულთაგან შემდგარ ძველ ებრაულ წესით ჩაცმულ წვერებმოშვებულ ებრაელთა ჯგუფები შემხვდებოდა. ზანგებისა და ებრაელების შეჯახებებიც ვნახე- პოლიცია რომ აზავებდა. მაგრამ ყველაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქის სიბინძურემ და საერთო მოუვლელობამ, სამგზავროდ შეუძლებელმა მეტრომ და მთვრალ მათხოვართა სიმრავლემ „მეტწილად ნეგრები), სკვერებში მძინარე ხანდაზმულმა მაწანწალებმა (კლოშარებმა) და მცირეწლოვანმა „შემთხვევითმა" როსკიპებმა. ხუთმა გოგონამ შემაჩერა სხვადასხვა უბანში „ სერ თუ რამდენსამე დოლარს გაიმეტებ წამოგყვებით". არცერთი ცამეტ-თოთხმეტ წლისაზე მეტი არ ჩანდა. ღმერთო დამიფარე ამ ქალაქში ცხოვრებისაგან მეთქი ვამბობდი ჩემთვის ÷ თუმცა არავინ მეპატიჟებოდა დარჩიო. და არას ვამბობ ბროდვეიზე გამოფენილ სიყვარულით მოვაჭრე ორთავე სქესის როსკიპებზე , რომელთაგან ვაჟებს წელქვეით კარტონები ჰკიდია „ახლა ეს გასინჯეთ" .

მაგრამ ნიუიორკი ხომ არ არის ამერიკა. ეს მისი ბალღამიანი მუწუკია მხოლოდ.მუწუკი უკურნებელი. ალბად იმიტომაც არ უვლიან. აქვე გვერდით (ამერიკულ მანძილების მიხედვით), ბოსტონი სულ სხვაა.

ხოლო ნამდვილი ამერიკა ის ათასობით პატარა ქალაქებია სადაც ცხოვრობს ამერიკელი ხალხის დიდი უმრავლესობა. სოფლები ამერიკაში ასე ვთქვათ, არც არის. ეს ქალაქებია ამერიკული სოფლები. ორმოცდაათათასიან ასეთ ქალაქს შვიდ-რვა კილომეტრამდე დიამეტრი აქვს, რადგან საცხოვრებელი სახლები, იშვიათ გამონაკლისს გარდა,ინდივიდუალურია. ყველა, მისსავე ეზო-ბაღის სიღრმეშია და , ეს ტიპიურად ამარიკული „კარგადღებულობაა" , ქუჩის მხრიდან ღობე არა აქვთ. მხოლოდ ძაღლებისათვისა აქვთ სახლსუკან შემოღობილი.

ეს ქალაქები მოფენილია არა მარტო ყველა არსებული რელიგიის სამწყსოებით და წარმოუდგენელ სიმრავლის და ხასიათის სექტებით, არამედ, და ეს მთავარია, თეთრი რასის ყველა ეროვნებათა კლუბებით. ამ კლუბების წევრები ინახავენ ხსოვნას და რამდენადაც შესაძლოა, ენას

და კულტურას თავიანთი წინაპრების სამშობლოსი. რაც მათ სრულებით ხელს არ უშლის და არ აფერხებს მათ ნამდვილ ამერიკელობას. ამერიკა მართლა თავისებური ერია ! უცნობი ტიპისა. ეს არის ნამდვილი კოსმოპოლიტური(ცხადია ეთნიური და არა პოლიტიკურ იდეოლოგიურ თვალსაზრისით) საზოგადოება, რომელიც მართლა წარმოადგენს კაცობრიობას. აქამდე ეს პატარა „კაცობრიობა“ , ძლიერდიდწილად ყოფილ ევროპელთაგან შესდგებოდა. მაგრამ ახლა რამდენიმე წელიწადია, იმიგრანტთა ნაკადის სათავე რადიკალურად შეიცვალა. ახალ იმიგრანტთა შორის აზიელები და სამხრეთ ამერიკელები ბევრად სჭარბობენ.

ამ გარემოებამ პრობლემები დაბადა განათლების უწყებისათვის. და ამერიკამ ამას შესაფერი წესების შემოღებით უპასუხა. სახელმწიფომ შეიმუშავა წესები რომელთა მიხედვითა ენობრივ დაბრკოლების გამო სკოლაში ჩამორჩენილ ბავშვს რეპეტიტორი უნდა დაენიშნოს, ცხადია სახელმწიფოს ხარჯზე, რომ ვიდრე ბავშვი საკმაოდ შეისწავლიდეს ინგლისურს, მის საკუთარ ენაზე ისწავლოს სხვადასხვა საგნები. ყველა ამას დაუმატეთ ასიათასობით უცხოელი სტიპენდიანტი სტუდენტობა და საშუალო სკოლების მოსწავლენი და დამეთანხმებით , რომ ჩვენი ავტორის სიტყვები: „ვისაც სძულს ამერიკა, მას ასევე სძულს კაცობრიობაო“ არც გადაჭარბებაა არც პარაბოლა.

(4) გვერდი მეექვსე. აქ ჩვენი ავტორი ძლიერ მოკლედ სჭრის საკითხს და თანაც შეუფერებელ მაგალითს გვაწვდის მოვლენის ასახსნელად. დასავლურ ცივილიზაციით გაწბილებაში, რა შუაშია ბელგიის კონსტიტუციის მოურგებლობა ეგვიპტისათვის.

როცა აიასოლა საფრანგეთში ემიგრანტად ცხოვრობდა, და შახის გადაგდებაზე ოცნებობდა, იგი ხომ ამავე დროს დასავლეთსაც ეცნობოდა. და რას გააცნობდნენ მას თავისი ინფორმატორები. იგი გაიგებდა რომ თვით საფრანგეთში პლაჟებზე , ძუძუგაშიშვლებული ქალები არიან მზეზე გამოფენილი. რომ სხვა დასავლურ ქვეყნებში, მამათმავალთა ოფიციალური გაერთიანებები არსებობენ, რომელნიც დემონსტრაციათა მოწყობით მოითხოვენ მათი სტატუსის ლეგალიზებას და უფლებებს ყველა საზოგადოებრივ თანამდებობათა ასრულებისა — პედაგოგობის ჩათვლით. რომ დასავლეთში დაუფარავად არსებობს „ცოლქმრობა“ მამაკაცთა შორის და ასევე დედაკაცთა შორის და კიდევ მრავალი სხვა. ამავე დროს მან ხომ ისიც იცოდა რომ იმდროინდელი თეირანი, პრიზსა და ნიუიორკს ეჯიბრებოდა ფუფუნებასა რაფინირებასა და გარყვნილებაში; რა საშინელი მომავალი წარმოუდგებოდა ამ ღვთისმსახურს და თავისი ხალხის სულიერ მამას სპარსეთისათვის? და ბოლოს: მუსულმანური რელიგია, რომლის მიმდევრებმაც, მართალია დიდი უბედურება მოუტანეს საქართველოს, არც ისე დასაძრახი და აბუჩად ¨ ასაგდებია რომ გაგვიკვირდეს თუ ამ ხალხებმა თავისავე რელიგიაში იპოვნეს იდეოლოგია.

(5) გვერდი მეშვიდე. შენიშვნა შეეხება ფრაზას: „დამოკიდებულია როგორ წარმოუდგენია და ესმის გორბაჩოვს საბჭოური ექსპანსიონიზმი“. საკვირველია რომ ასეთ კითხვას სვამს ავტორი. მაშ იგი კიდევ დაეჭვებულია იმაში, რასაც იგი (ამას თითონვე გვაჩვენებს) მშვენივრად ხედავს. გორბაჩოვს ეს საქმე იმგვარადვე წარმოუდგენია, როგორც ჰქონდა წარმოდგენილი „ანტისტალინ“ ხრუშჩევს, რაც მან საჯაროდ წამოროშა ნიუიორკში : ბოლოს მაინც ჩვენ გავიმარჯვებთო. მხოლოდ, გორბაჩოვის „ხავერდის ხელთათმანები“ უფრო საშიშია, ვიდრე ხრუშჩოვის „ბატინკა“, რომელსაც იგი მსოფლიოს გაოგნებულ დელეგატთა წინაშე მაგიდაზე ურტყამდა. ამ სიტყვების წარმოთქმის დროს.

(6) მერვე გვერდი. აქ ავტორი ეხება პრობლემებს აზიის ახლად ინდუსტრილიზებულ ქვეყანათა ეკონომიისას, როგორნიც არიან: სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონკონგი და სინგაპური. იგი ამბობს რომ ამ ქვეყანათა მცხოვრებთ აშინებს ამერიკელთა პროტექციონიზმი. ისინი ამბობენო გვაუწყებს ავტორი, რომ ჩვენ მზადა ვართ ამერიკელებთან ვაჭრობა ვაწარმოოთ და ჩვენი ნაწარმის ექსპორტი განვაგრძოთ ამერიკისაკენ, მაგრამ შემოტანით კი მხოლოდ მინიმუმს შემოვიტანთო. ხოლო თუ ამერიკულ პროტექციონიზმის შედეგად ჩვენი წარმოების განვითარება შეფერხდა, მაშინ მემარცხენე ელემენტები თავს წამოჰყოფენ და ამის შედეგი ამერიკას უფრო ძვირად დაუჯდებაო. როგორ უნდა აიხსნას ამგვარი პოზიცია, რომლიც ამერიკელთა მიმართ მუქარასა და შანტაჟსა ჰგავს? ზოგ არასაკმაოდ ინფორმირებულ პირთ ჰგონია ~ რომ ეს ქვეყნები ე= წ= განვითარებად ქვეყანათა კატეგორიას ეკუთვნიან. დარომ ლიბერალურ ეკონომიურ სისტემის წყალობით

მოხდა მათი განვითარება. ეს შეცდომაა რომელიც საქმის უცოდინარობით აიხსნება, უპირველესად, ეს მხარეები რომელთაც ავტორი „ახლად ინდუსტრიალიზებულ“ მხარეებს უწოდებს და არა– „განვითარებადს“, ძველი ფრიად განვითარებული ინდური და ჩინური უძლიერესი კულტურის ზონაში და გავლენაში მყოფი ქვეყნებია და მათ, როგორც თვით ავტორი მოგვაგონებს, დიდი და ძველი ტრადიცია აქვთ ვაჭრობისა და თუ ეს ქვეყნები ლიბერალურ წესებს მისდევენ და იცავენ, როგორ შევათანხმოთ ლიბერალიზმი ასეთ კომერციასთან::ჩვენგან იყიდეთ მაგრამ თქვენგან არ ვიყიდით. ამის ასახსნელად უნდა მხედველობაში მივიღოთ შემდეგი: ყველა ეს პუნქტები, აზიის დიდი მატერიკიდან ხელოვნურად, მხოლოდ პოლიტიკური მიზეზით და გზით მოჭრილი ადგილებია სადაც ამერიკელთ ფეხი უდგათ მატერიკზე. ამერიკა იძულებული იყო ამ საყრდენის შესანარჩუნებლად ხელოვნური ხასიათის ეკონომიურ ზომათათვის მიემართა, რომ ოკუპანტების სახე არ მისცემოდა მათ მიერ მფარველობას ამ ტერიტორიებისა. ამერიკული და ნაწილობრივად სხვა დასავლური კაპიტალის და ტექნოლოგიის შემოტანამ შექმნა ამ ადგილებში აყვავებული მჩატე ინდუსტრია, რომელსაც საუცხოოდ ხელი შეუწყო ადგილობრივმა უნიჭიერესმა ხელმარჯვე და იაფმა მუშახელმა და ასევე ადგილობრივმა ვაჭრულმა ტრადიციამ . ამ ხელოვნურად გარედან დაარსებულ ინდუსტრიას მხოლოდ ექსპორტით შეეძლო არსებობა– რაკი ისინი აზიისაგან მოჭრილი არიან და ეს ექსპორტი ამერიკა–ევროპისაკენ უნდა მიმართულიყო. ასეც მოხდა. დასავლეთის და განსაკუთრებით კი ამერიკის ბაზარი ყელამდი აივსო მათი ნაწარმით. (ფრანგებმა გერმანელებს უსაყვედურეს კიდევაც: თქვენში ადვილად შემოტანილი მათი საქონელი, ჩვენში შემოდის გერმანული მარკით. რაშიდაც გერმანელებმა თავი იმართლეს, ეს ისეთივე კონტრაბანდაა როგორიც – ნარკოტიკებისა და ჩვენი ბრალი არ არისო)ასეთმა გარემოებამ შეაშფოთა ამერიკელ მრეწველთა ის ნაწილი რომელიც დაინტერესებული არ იყო ამ საქმეში და თავი იჩინა სწორედ იმ პროტექციონიზმმა, რომელზეც სხვაგანაც საკმაოდაა საუბარი. ასე რომ ამ ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას უმთავრესად პოლიტიკურ–სტრატეგიული სარჩული უდევს და არა ლიბერალიზმი რომელთანაც ყოვლად შეუთავსებელია –პოზიცია: ჩემგან იყიდე, შენგან კი არ ვიყიდით. და როცა ავტორი ამბობს: ეს მდგომარეობა ალბად არ შეიცვლებაო, ეს იმიტომ რომ ამერიკას ამისი შეცვლა არ შეუძლია. მან უნდა აცოცხლოს ეს ხელოვნური მრეწველობა – თუ ჰსურს ამ ადგილებში დარჩენა, რომელნიც მხოლოდ დროებითი სტატუსის მქონე ტერიტორიებია და არა სახელმწიფოები ან ერები – ნამდვილი მნიშვნელობით ამ სიტყვისა. ეს ხელოვნურად დანერგილი პირობები რომ გაჰქრეს, ე. ი. ამ მხარეებში ნორმალური ლიბერალიზმი დამყარდეს, „მემარცხენე ელემენტები თავს იმიტომ წამოჰყოფენ“ და ამერიკას „უფრო ძვირი იმიტომ დაუჯდება“, რომ წარმოება დაეცემა და ამერიკამ თავისი ბიუჯეტით უნდა არჩინოს მოსახლეობა ან ეს ფრიად საჭირო საყრდენი უნდა დასტოვოს.

ესე ყოველი ჩვენს თათარიახად გამომცხვარ ეკონომისტს და ფილოსოფოსს პერევისელ სოკრატეს რომ სცოდნოდა, თავი უნდა შეეკავებინა ისეთი რამის წამოყრანტალებისაგან, როგორიცაა „კომუნისტური ბაცილით მთლად დაბრმავებულად“ გამოცხადება „ივერიას“ რედაქტორისა. ეს სხათაშორის.

რამდენიმე სიტყვა ლიბერალიზმის შესახებ. ლიბერალიზმი ადამიანის მიერ არ არის გამოგონილი, იგი ბუნებამ შექმნა და ძლიერ ახლოა ბუნებრივი შერჩევის კანონთან. ყოველი ცოცხალი არსება თავისუფლად ვითარდება ბუნებაში. ამათგან დინოზავრი მოისპო ჰიანჭველა არსებობს , ერთმანეთის ჭამაც „ლიბერალიზმია“ . ხოლო ადამიანი გამოეყო (ნაწილობრივად) ამ ბუნებრივ განვითარებას და კორექტივები შეიტანა ამ „ლიბერალიზმში“, რამაც იგი დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. ეს საერთოდ. ხოლო რას წარმოადგენს დღევანდელი ცნება „ლიბერალიზმი“ ?იგი ყველასათვის გამოსადეგი წამალი არაა. ჟიგო შაშხი და რაგუ კარგი საჭმელებია მაგრამ ძუძუთა ბავშვისათვის სასიკვდილოა. იგი როგორც ეკონომიური სისტემა, მოითხოვს განსაზღვრულ დონეს განვითარებულ მეურნეობისა. ეს არ არსებობს განვითარებად ქვეყნებში სადაც ჯერ კიდევ რაციონალურად ხვნა–თესვის შესწავლის დონეზე იმყოფებიან. ამ საკითხში ღრმად შეჭრის ვომპეტენტობა მე არა მაქვს. და ეს შენიშვნა იმათთვის დავურთე ვიზედაც ნათქვამია: გაუგონია ალია მომკვდარაო.

მიხეილ ქავთარაძე .

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო უწინარეს ყოვლისა.

ტრადიციულად, მაისის ბოლოს აღვნიშნავთ ქართველი ერის უახლესი ისტორიის უდიდესთარიღს –26 მაისს. ოცდაექვსი მაისი იყო დაგვირგვინება იმ უზომო ღვაწლისა, რომელიც რუსეთის მპყრობელობის ქვეშ მოქცეული საქართველოს და ქართველი ერის შვილებმა დასდეს მთელი მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. თანამედროვე ქართულ ისტორიაში და ალბად, საერთოდ ქართულ ისტორიაშიც, თუ მას დღევანდელი თვალსაზრისიდან გავხედავთ, იოლად ვერ ვიპოვით მეორე ისეთ მოღვაწეს, რომელსაც ერის დიდი მამა შეიძლება ვუწოდოთ – ილია ჭავჭავაძე იქცა არა მარტო ჩვენი აღორძინების, გამოღვიძების („ოჰ ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება") და შობის მზრუნველ მამად, არამედ ქართველი ერის „სხვა მოსედ". რომლის გულის ფიცარზე ამოკვეთილი მცნება ყოველი ქართველის გულზე იტვიფრება „ხელთუქმნელად"–ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!

„ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს"–ო თქვა ქართველმა ერმა მოხევეს პირით. დღეს ამავე სიტყვებით აღვნიშნავთუახლოეს ეპოქას ჩვენი ისტორიისა, ჩვენი დამოუკიდებლობისას. ჩვენი ეს ახალი „ადრიდა" დაიწყო 1918 წლის 26 მაისს და თუმც მხოლოდ სამ წელს გაგრძელდა, მაინც აღტაცებით ვიმეორებთ ილიასა და მოხევის და მთელი ქართველი ერის სიტყვებს: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს".

პიროვნების და კულტურის თავისუფლებაა საწინდარი ერის თავისუფლებისა. ესაა მხოლოდ გზა ამაღლებისა. რწმენა–კულტურა –სამართალი გვიქადაგა და გვიანდერძა ერის დიდმა მამამ, ვითარცა სამი ბოძი ეროვნული მარადისობის საიმედო დარბაზისა (დარბაზი სალოცავიც არის და საცხოვრისიც, ანუ ღვთისაც და კაცისაც ბუნებითი ალაგი), რომლის დედაბოძად მხარგაშლილი მუხა აგრე ადვილად არ მოიკვეთება და ფესვგამხმარი ქარიხვეტიას არ დაემსგავსება.

26 მაისი 1918 წლისა.

აისი ერის სულისა და განთიადი მარადიული მისწრაფებისა თავის–უფლებისაკენ. უკვე ნატვიფრია ქართული ისტორია ამ დღით. უკვე ვერ ამოშლის ცენზორის მახვილი ჩვენი ისტორიიდან და ჩვენი გულიდან ამ დღეს გაზაფხულისას, ვარდისფურცლობისას, მარიამობისას, როს გაისმა გუგუნი თბილისის სიონისა და ესმათ ხმა მთაწმინდაზე განსვენებულ გმირთ ქართული სულისა და მამას ტანჯული მაგრამ შეუდრეკი ერისას, რომელიც ზვარაკად შეეწირა ამ განთიადს.

„გიხაროდენ"

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ღირსსახსოვარი თარიღია. დღე ასჩვიდმეტი წლის უღლის გადაგდებისა და მსოფლიოს წინაშე საკაცობრიო ოჯახის სრულუფლებიან წევრად წარდგომისა.

ოცდაექვსი მაისი იყო ის შესაყარი სხივთა, რომელშიც ერთ ნასკვად გამოიკვანძა ქართველ მამულიშვილთა გულიდან გამომდინარე ენერგია. ამ გულის ფეთქვა არა მარტო ეროვნულად და პიროვნულად იყო შეხმატკბილებული, არამედ ისტორიულადაც. არცერთ ქ ა რ თ ვ ე ლ ს, ქართველს არა მარტო და არა იმდენად, შობით, არამედ გონიერებით, გულითა და კულტურით, არ შეუტანია ეჭვი საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობაში. სწორედ ეს არის ის ქართული გული, რომელიც ძგერდა ქართველი ერის მკერდში დასაბამითვე და აბრძოლებდა და აღაშენებინებდა ღვთითნაბოძებ კურთხეულ სამშობლოს თვისას. გული ქართლოსიანთა, ფარნავაზიანთა, ბაგრატიონთა იგივ ქართველი ერის გული იყო და ამიტომაც მიჰქონდათ ეროვნულ სამსხვერპლოზე თანაბარწილად თავი გვარით ქართლოსიანებს, გვარით ფარნავაზიანებს, და გვარით ბაგრატიონებს, ჩოლოყაშვილებთან, ხერხეულიძეებთან, მარაბდელებთან, ქიზიყელებთან, ინგილოებთან, აფხაზებთან, გურულებთან, სვანებთან, ხევსურებთან, თუშებთან, კახელებთან ქართლელებთან, აჭარლებთან, მესხებთან და ყოველთა გვარისათა ამერ–იმერეთისა ქართველებს ერთიანად –გლეხსა და მეფეს– აზნაურსა და მღვდელს, თავადსა და დედოფალს. ქრისტეს ჯვარი და რაინდის მახვილი იფარავდა საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

და ვიდრე ორთავე მტკიცედ გვეპყრა ხელთ ვერა მტერი ვერ გვერეოდა, იყო დრო ბრძოლისა— და ვიბრძოდით „ერთობითა და თანადგომითა მტერსა ზედა“, იყო დრო აღშენებისა— და შენდებოდა ზვარ-ვენახი, სოფელ-ქალაქი, მკვიდრდებოდა ოჯახი და მთლიანად ქვეყანა. ხოლო განუწყვეტელ ბრძოლაში გულიც იღლებოდა დრო და დრო, ერს სენიც ეყრებოდა და მაჯა მპყრობელი ჯვარისა და მახვილის უსუსტდებოდა. სწორედ ამ დროს ევლინებოდა ერს პიროვნება, რომლის გული მთელი ერის ენერგიით ფეთქავდა, რომლის გული—და ინარჩუნებდა მკურნალსა და მხსნელს ძალას თავდადებისა და სიყვარულისას. საკმარისია გიორგი ჭყონდიდელი და ილია ჭავჭავაძე გავიხსენოთ — მებაღენი ქართული ბაღისა და გუთნისდედანი ქართული ყანისა. სამშობლოსადმი მათი განუზომელი სიყვარული იქცა წყაროდ ახალი ძალისა , რამეთუ: ორთავეს და ყ ვ ე ლ ა ს მიერ ნათქვამადაა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,

რომ წარუძღვე წინა ერსა“. . .

პოლიტიკური უზნეობის იმგვარს გარემოში, რომელშიდაც 26 მაისი განხორციელდა, სასწაულებრივად მოსჩანს ის სამი წელი დამოუკიდებლობისა, რომელიც თავისუფალი საქართველოს მზედ ანთია ჩვენს გზა—სავალზე. სწორედ ამ პოლიტიკური უზნეობის უდაბნოდან წამოგრაგნილმა ქარაშოტმა ჩააქრო სანთელი ჩვენი თავისუფლებისა და დაამსხვრია კელაპტარი აღმშენებლობისა. ხოლო ერთგზის ანთებული იმედი და აძგერება გულისა ვერ მოსპო. სწორედ ეს გულისძგერაა რომ ისმის ყოველ 26 მაისს აქ, უცხოეთში, მსოფლიურ ხმაურში და იქ, საქართველოში, ალოცვილ მდუმარებაში ყოველი ქართველისა.

სვამი ვივეკანანდა, დიდი ინდოელი ამბობს ერთგზის: “ ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, თავის ცხოვრებაში აქვს ერთადერთი თემა, რომელიც ლიბოა მისი არსებობისა, გულისგული, ცენტრალური ბგერა,რომლის გარშემო ჰარმონიის დანარჩენი ბგერა იკრიბება. . . თუკი ერი მას უკუაგდებს, თუკი იგი უკუაგდებს საკუთარი არსებობის პრინციპს, საუკუნეთა მიერ გადმოცემულ გეზს, იგი—ეს ერი კვდება“. სასტიკი, მაგრამ უღრმესი ჭეშმარიტების შემცველია ეს სიტყვები, და იქნებ ჩვენი საკუთარი თავგადასავალი იყოს კიდეც საუკეთესო დასტური მათი სიღრმისეული სინამდვილისა. საქართველოსა და ქართველი ერის მარტვილური ისტორია, მისი არსებობის ლიბო, გულისგული და ცენტრალური ბგერა იყო(და არის) ბრძოლა ქრისტიანობისა და ქართველობისათვის ან, რაც იგივეობრივია, ქართველობისა (თუ ქართლოს—ფარნავაზიანთა დროს გავწვდებით) და ქრისტიანობისათვის. ერთ ამათგანის ღალატი ან „გადმოცემულ გეზის უარყოფა“ საერთოდ, პიროვნული და ეროვნულიც სიკვდილი იყო. და ეს საფრთხე ეროვნული სიკვდილისა არასოდეს შექმნია ქართველ ერს, ვიდრე იგი მედგრად და მარტვილად იცავდა (და ხარობდა ამ მარტვილობით) ქართველობას და ქრისტიანობას, ვიდრე მაცდურმა პოლიტიკოსობამ არ გვათქმევინა უარი ამ „საუკუნეებით გადმოცემულ გეზზე“ და პირი არ გვაქნევინა ჩრდილოეთისაკენ საიდანაც უღმერთოთათვის „მზე ამობრწყინდა“. 117 წლის განმავლობაში სუსხავდა ეს „მზე“ ქართულ სულს. 117 წლის განმავლობაში შეგნებულად ძირკვავდა ქართულ ვენახს, ზამთრისფრად ფერავდა ჩვენს თბილ ეკლესიებს და სასაკლაოზე ერეკებოდა ჩვენს გუთნისდედას. 117 წლის განმავლობაში ეძებდა ქართველი ერი თავის გზას, იმ მეკვლეს, რომელიც პირველ ხნულს, უდაბნოდ გარდასაცქევ ყანაში ეროვნულ ყოფიერებისა გაიყვანდა და ერს თავისი არსებობის ცენტრალურ ბგერას გააგონებდა. და მოვიდა მეკვლე იგი და ააძგერა გულისგული ერისა სიტყვით და საქმით. და ალბად არც ეს იყო შემთხვევითი, რომ ერქვა მას ი ლი ა, რადგან იყო იგი ღვთისმიერი მამა ერისა. და იყო იგი სულიერი მამა 26 მაისისაც, რამეთუ ოცდარქვსი მაისის გულისგული და ცენტრალური ბგერა იყო „ ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნება“.

უზნეობის უდაბნოში გათოშილი ქართველი ერი ერთნაირად საჭიროებდა , მოსიყვარულე ხელსაც და მწვრთნელის მათრახსაც, ხოლო საქართველოს აღდგენა— კიდევ მეტს— ქ რ ი ს ტ ე ბ რ ი ვ მ ს ხ ვ ე რ პ ლ ს. ათასგზის რომ დამარცხდეს კიდევ საქართველო, ჩვენი მოსპობა აღარ შეიძლება! ამ უდიდესი მსხვერპლის (და ქართველობისათვის წამებულთა და მარტვილთა მსხვერპლის) გაღებით ქართველობამ სამარადისო ვალი დაიდო ღვთისა და ისტორიის წინაშე— არ გადაუხვიოს საუკუნეთა მიერ გადმოცემულ გეზს, არ უკუაგდოს საკუთარი არსებობის პრინციპი და არ ჩააჩუმოს თავისი გულის ძგერა. ხოლო ვალგადაუხდელი ერის აღგვა პირისაგან მიწისა არ მოხდება.

ერთგზის, და ეს იყო სწორედ 26 მაისს, თითქოს კიდეც აიღო ერმა თავი თავისა მსხვერპლის გამოსასყიდად, მაგრამ როგორც სჩანს, არ ეყო ძალა შესატყვისი, რომ გამკლავებოდა ქარბორბალას და დაეცვა თავი „თვისად საყუდნელად“.

ილიას მსხვერპლი გამოუსყიდავი დარჩა.

ერთი რამ გვამცნო 26 მაისმა. ჩვენი ბრძოლა არ იყო ბრძოლა „გადარჩენისათვის“. საქართველოს არასოდეს გაჭირვებია ისე, რომ ეს საკითხი ყოფილიყო ქვაკუთხედი ჩვენი არსებობისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სახსენებელი გარდასულ კულტურათა და ერთა რიგში იქნებოდა შეტანილი, ან ვიქნებოდით განთესილნი ჩვენი კურთხეული მიწიდან, მსგავსად სხვათა. საქართველოსათვის ბრძოლა იმავე დროს იყო ბრძოლა მსოფლიოს ასპარეზზე გასვლისათვის. „ქართველები მცირერიცხოვანი ერია, ოღონდ დიდი ერის ფსიქიკის მქონეო“ ამბობს ილია. ხშირად მოუვლენია ჩვენს თავზედ რისხვით წამოგრაგნილი ცა ამ თვისებას. ჩვენი სულისას. ხშირად გავჭრილვართ მაოფლიო ასპარეზზე და მიგვიტოვებია „შინაური ნაგავი გამოსაგველ-გადასაყრელი. „მენ“-ს დაუჩრდილავს „ჩვენ“ და ჩვენით“ ლაგამამოდებული „თავნებობის „საფრთხე“ თავკერძული თავნებობის უფსკრულად გადახსნილა ჩვენს წინაშე. 26 მაისმაესეც დაგვანახა. ჩვენ ყოველთვის გვინდოდა პირისპირ შევყროდით მსოფლიოს და მიგვეტანა მისთვის ის საგანძური, რომელიც ქართველმა ერმა, ქრისტემდელმა თუ ქრისტიანულმაკულრურამ ქართულმა,

დახვეწილმა ყოფამ, პოეტურმა, მუსიკალურმა, სახვითმა და საერთოდ შემოქმედებითმა გენიამ, რელიგიურმა სულმა შექმნა ათასწლეულთა განმავლობაში, მთელი ჩვენი ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების გამოცდილება, მიგვეტანი გაგვეცა და მოგვეპოვებინა, გაგვეხარებინა ჩვენით და გავხარებულიყავით მისით. ილიას ძახილი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ სწორედ ამ გახსნილობას გულისხმობდა უპირველეს ყოვლისა. 26 მაისმა ესეც დაგვანახა. დაგვანახა თუ როგორის მოულოდნელობით აღმოვჩნდით მსოფლიოს წინაშე. საქართველოს ცნობას საერთაშორისო ასპარეზზე უფრო მორალური ღირებულება ჰქონდა ვიდრე რეალურ-პოლიტიკური და შემდგომმა ვითარებამ ეს დაადასტურა. მრავალ ქვეყანათაგან რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს, მხოლოდ ოთხს ჰქონდა საელჩო ან წარმომადგენლობა საქართველოში. ხოლო მორალური ძალა კი მისცა ერს მსოფლიო ასპარეზზე გამოსვლამ. და ეს ძალა დღესაც კი მოქმედებს და წარმართავს იმავ სწრაფვას ქედუხრელი ერისას დამოუკიდებლობისაკენ. განვლილ 68 წელიწადში, საქართველოს სახელი რუსულმა წითელმა აჩრდილმა დაჰფარა. და თუ სადმე გაიელვებს იგი, უმეტესწილად სპეციალისტთა ნაშრომებშიდა ... ღვთისმშობლის წილხვდომილი, მოციქულთსწორის განმანათლებლის, სამოციქულო ეკლესიის საკუთარი ენისა და მწერლობისსაქართველო ჰყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის, თამარის, ქეთევანის, დიმიტრის, შოთას, ილიას, ვაჟას: აკაკის... წმინდანთა და მშენებელთა, რაინდთა და ბერთა, დღეს მრავალთა თვალში სტალინისა და ბერიას, კორუპციისა და ქორვაჰრობის, ზნედაცემულობისა და უკულტურობის სამშობლოდაა მიჩნეული.

26 მაისი ამასაც დაგვანახვებს.

საკონცენტრაციო ბანაკში, რომელსაც წარმოადგენს ეკალხლართებით შემოვლებული სივრცე საბჭოთა კავშირისა, არათუ ცალკეული ადამიანები, მთელი ერები არიან ჩამწყვდეული, მეტიც, ეს ბანაკი (სოციალისტური ბანაკი) იწყება განწვლილული გერმანიის კედლით და მთავრდება იმ პატარა, მავთულხლართებითა და ტყვიამრფქვევებით დაცული გულაგით, რომელიც ამ დიდი სოციალისტური ბანაკის არსება-მოდელს წარმოადგენს. პიროვნებისა და ერის ბედის ურთიერთგადაჯაჭვა განსახიერებულია დღეს იმ შეუპოვარი და შეუდრეკი ადამიანებით, რომლებიც უშიშრად იხდიან თავის ვალს ღვთისა და ერის წინაშე. უპირველესი მათგანი ჩვენთვის- მერაბ კოსტავა არის. ქართველობისათვის ვნებული რაინდი, რომლის გულის ცეცხლი ვერა რა ყინვამ და ვერა რა ტანჯვამ ვერ ჩააქრო. და 26 მაისმა ესეც დაგვანახა. დაგვანახა, რომ ძირი ქართული ბერმუხისა ცოცხალია, რომ შიბი ოქროსი კვლავ ამაღლებულა და მადლი ღვთისა არ მოკლებია წამებულ ერს, რომელმაც არა გლოვითა და ვაებით, არამედ „თამაშითა და მღერით ჩაუკლავი ოპტიმიზმით ვლო მონობით კირთთა ქვეშ.

ქართული ცენტრალური ბგერა - სიკეთისაკენ სწრაფვაა. სამეგობრო დასამეზობლო წყობის დაარსება.

„ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სწრვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მამულის შვილებს ჰსურთ წარმატება ჩვენი ეროვნებისა და ვინაობისა, რომელსაც გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულის შვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ვისიამოვნოთ, არამედ იმისთვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილ-დღეობისა".სწერდა ილია ჭავჭავაძე. ხოლო ერთი ქართველი ფილოსოფოსი, ჩვენი თანამედროვე, ღრმადმწვდომი ქართული არსების ამ ცენტრალური ბგერისა და პირმშო დიდი ილიასი ასე ასრულებს ერის დიდი მამის სამოქმედო თვალსაზრისს: „ენის დაკარგვით ქართველი კაცი ჰკარგავს იმ მშვენიერს, რომელიც ღირებულჰყოფს სიცოცხლეს მის თვალში და რომელსაც ვერცერთი სხვა ენით ვერ გაუკეთდება კომპენსაცია. (რადგან სინამდვილე რომელსაც „ქართული" ჰქვია არარაა გარეშე ქართული ენისა, იგია სამოთხედ აყვავებული მსოფლიო ახდენილი ოცნების საგანი). ასეთი სასიცოცხლო კავშირი ენასთან უინტიმურეს ეროვნულ სინამდვილესთანაა კავშირში რაც ქართველობის საფუძველია, ყველაფრის გამძლები- და პოეტობის მიზანი ყველაფრის გადამლახავი. ენაში განხორციელებულია ერის მსოფლმხედველობაც, საერთოდ ობიექტიური და საკუ-რივ-სუბიექტური. . . საფუძველთ საფუძველი ანუ ე. წ. ფილოსოფიური მსოფთმხედველობა თავის სრულყოფის მომენტში გვევლინება სახედ ეროვნული სულისა., სწორედ ეს სახოვანი მსოფლმხედველობა ერისა არის კიდეც განხორციელებული ენაში და სწორედ იგია საკრალური მსოფლმხედველობა გენიალური პოეტისა ვითარცა ენის მესაიდუმლისა. „ვეფხისტყაოსანი" ეროვნული თვითშეგნების პირმშოა იგი მისი რეალიზებული ფაქტია და არა აბსტრაქტული იდეა. პოემაში არა თვით ეროვნული თვითშეგნებაა, არამედ მისი ნაყოფია ანუ ეროვნული თვითშეგნების ნაყოფიერებაა დემონსტრირებული. და ნაყოფი საკაცობრიოა." „ვეფხისტყაოსანში" საქართველოდან ამოზიდული კაცობრიობაა განსახიერებული. ქართული კაცობრიობა, კაცობრიობად განვრცილი თავისი ეროვნული ენერგიით, ქართველი ერი. ამიტომ თვით პოემის გმირთა ინტერნაციონალიზმი პატრიოტიზმის ნაყოფია. ა ასე შეერთდა გულისძგერა თაობათა და გამოასხივა უძლევმა სულმა ქართველთა თავისი მართლაც კაცობრიული ბრწყინვალება. ხოლო წარმოვიდგინოთ თუ რა უნდა განეცადა ამ სულს აღტაცებულს თავისი დამოუკიდებლობით და თავისუფლებით. ხოლო როგორც ვაჟა ამბობს: „თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელება ნებისააზრისა გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა". . თავისუფლება პიროვნებისა და ერისა მჭიდროდ დაკავშირებულია. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა. სხვის ხელში სათამაშო ნივთი". . .სწორედ ეს არ გვინდოდა ჩვენ არასოდეს, რომ ვყოფილიყავით სხვის ხელში სათამაშო ნივთი. და ამიტომაც მარტვილობდა ერი ამიტომაც ირწყვებოდა ქართული მიწა ჩვენი სისხლით და ეს იყო უმთავრესი საგანი ჩვენი არსებობისა. ამიტომაც აქვს 26 მაისს შარავანდედი თავისუფლებისა და არა რომელიმე წყობისა. საზოგადოებრივი წყობა თუგინდ ძალით იყოს ჩამოცმული ერზე და თუგინდ სულთამხუთავი და დამანგრეველი, არარაა ერის ცხოვრებაში, წარმავალია, დროებითია- თუ ერი მკვიდრად სდგას თავის საკუთარს ნიადაგზე, ისმენს თავის საკუთარი გულის ძგერას, და უთანხმებს ჰარმონიის ყოველ ბგერას იმ ერთადერთ გულისგულ ხმას, რომელიც საუკუნეთა სიღრმიდან გაისმის და ცოცხლდება ყოველი ადამიანის ქართველად გაცოცხლების წამს. ეს დიდებული სიმღერა სრულიად საქართველოსა ისმოდა 1918წლის 26 მაისს მთელს საქართველოში. სიმღერა ლაღი, ხმამაღალი აღტაცებული სიმღერა თავისუფლებისა და გალობა აღდგომისა. და გვწამს რომ ეს სიმღერა არასოდეს არ შეწყდება,

„რაც უნდა გვტანჯონ გვაწამონ"!

ჟანრი კაშია

## ქართველი მოქანდაკე=ოქრომჭედლის წარმატება.

ჩვენმა სასახელო თანამემამულემ გუჯი ამაშუკელმა ახლახან მიიღო ჯილდო=ხარისხი

**CHEVALIER DE L' ORDRE DES ARTS ET LETTRES**

რასაც გულითადი სიხარულით ვულოცავთ

ელგუჯა ამაშუკელი, ან საფრანგეთში ცნობილი მოქანდაკე=ოქრომჭედელი გუჯი — ჩვენთვის ქართველებისათვის საამაყო სახელისა და ავტორიტეტის მფლობელია არა მარტო საფრანგეთში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიც. გუჯის ნამუშევრები მრავალგზის იყო გამოფენილი საჯაროდ მსოფლიო გალერეებში და აღიარებულია ვით თავისთავადი, ღრმა ფესვების მქონე ხელოვნება.,რომლის ერთი საუკეთესო შეფასება ეკუთვნის ფრანგ აკადემიკოს ფელისიენ მარსოს :

„ ის, რაც ასე მხიბლავს გუჯის ხელოვნებაში, არის ნივთებისადმი მინიჭებული ერთგვარი მითიური განზომილება, მათთვის საკუთარი, საგნისმიერი ღირსშესანიშნავი ორიგინალობის შენარჩუნებით. ეს ხელოვნება, რომელიც მოდის შორეთიდან, ძალიან შორიდან დროისა და სივრცის, და კიდევ უფრო შორეულ და ღრმა არსებიდან მხატვრის განცდისა, არის ამავე დროს ხელოვნება, რომელიც წარმატებითაა ჩანერგილი თანამედროვებაში და რომელსაც იგი ასახავს. იგი განასახიერებს იმ მაგიურ წერტილს საცა სილამაზე გარდასახავს რეალობას მასთან კავშირის გაწყვეტის გარეშე“. . . . გუჯის ერთერთი თვალსაჩინო ნამუშევარი იყო სწორედ აკადემიკოს ფელისიენ მარსოს საზეიმო დაშნა, რომელიც ყოველი ფრანგი აკადემიკოსის აუცილებელი ატრიბუტია.

ეს შეფასება შესანიშნავი დასტურია ნიჭიერი ხელოვანის შემოქმედებითი მიღწევებისა და მისი მხატვრული პრინციპებისა, იმ გზაზე, რომელიც მან გაიარა დასავლეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის თერთმეტი წლის განმავლობაში. რვა მაისს ლუქსემბურგის კაპუცინების თეატრში, საფრანგეთის საელჩომ და ჰილგერის საიუველირო ფირმამ წარმოადგინეს უჯის ნამუშევრები. მოხსენება „ გუჯი , მითოსი და არქაული ხელოვნება“ გააკეთა ხელოვნებათმცოდნე ბენუა ლენმანმა. . . .

გუჯის ხელოვნება ჩემშიც იწვევს აღტაცებას, ხოლო განსაკუთრებით იმით, რომ მასში ვხედავ მცირე ფორმის ქართული ხელოვნების უღრმეს ფესვებთან შეხებას. ხოლო ცხადია, ეს ფესვები მცირეაზიულ დიდ კულტურასაა შეზრდილი. მაგრამ გარდა ამ უკუფენისა აღსატაცებელი თვით თანამედროვე ქმნილებაა, დიდი ოსტატის ნახელავი, რომელშიც შემოქმედების პროცესში გასრულებული გარეგნული სახე ნივთისა, მასალის ოსტატური გამოვლენით ხელოვნების სიმაღლეს აღწევს, აღგენს რა თანამედროვე „არქაიკას“ . აქ სწორედ ის „არქე“ მუშაობს, რომელიც არის არსება= სახე და არა მოდელი. ეს „არქე“ თვითვე ქმნის თავისთავს ოსტატის მადლიანი ხელის მწიფობით. ეს უკვე სამკაული კი არაა, არამედ პიროვნული ნიშანი, რომელიც იმდენადვე განასხვავებს მფლობელს, რამდენადაც აკავშირებს მას ზედროულ ყოფასთან სილამაზისა. ეს სილამაზე და ეს „არქე“ არის არა თვალით დანახული და ტვინით მოფიქრებული, არამედ გონებით განცდილი და გულით მოფიქრებული განსახიერება თავისთავში მსუფევი მითოსისა : ხელოსნის ამაღლებისა ხელოვანამდის. ხოლო, შედეგად ამ ამაღლებისა, ზღვარი საგანსა (ანუ ნივთსა) და იდეას შორის იშლება და ფორმა საუკუნეთა დაუსრულებელსა და მარადიულ ამბავს მეტყველებს. „მარადი აწმყო“ ეწოდება მითიურ დროს ყოფიერებისას. მარად აწმყოში ან მითოსში ყოველი ნივთი თავისი სიმბოლური დანიშნულებით ფუნქციონირებს და „სამკაული“ ამ სიმბოლოს განმასახიერებელი არის. სწორედ ისაა ღირსშესანიშნავი გუჯის ხელოვნებაში, რომ მის შემონაქმედ „სამკაულს“ არა ოდენ „დეკორატიული“ არამედ და არსებითად მაგიური განზომილება ეძლევა , რის მეოხებითაც მფლობელი მისი „მარადი აწმყოს“ ჯადოსნურ რკალს ეზიარება. მაგიური ენერგია, როელიც სილამაზედ გარდაქმნილი იპყრობს ჩვენს თვალს იმავ დროს აღგვაფრთოვანებს იმ მარადი შესატყვისობითაც, რომელიც დადგენილა ადამიანის სხეულსა და მის სიმბოლურ=დეკორატიულ მორთულობას შორის. აქ მხოლოდ ერთი საზომია — ადამიანი, რომლის ბუნებრივ დასრულებულობას ქართველი ოსტატის მადლიანი ხელი სრულყოფილებას სთავაზობს სამკაულად.

პეტრე იბერი.

## არდასაკარგი დოკუმენტი.

„ნინო ალაქსანდრე (სანდრო) ს ასული დიასამიძის (კოტე ბაქრაძის მეუღლის) წერილი, ელენე გრიგოლის ასული დიასამიძისადმი, მიწერილი თბილისიდან, ცხრა ივნისს 1921 წელს.
ასე ასათაურებს ამ დოკუმენტს ბატონი გივი კობახიძე, ვისთანაც ინახება წერილის ორიგინალი. მისი შინაარსი დართული კომენტარით, გადაცემულ იქმნა ამერიკულ რადიოთი. ჩვენ მას ბეჭდვითი სახით ვაქვეყნებთ, რადგან დაზღვეული არაფერი არ არის: აკი ჩვენ თვალწინ დაწვეს გ. ერაძემ და მ. ბერიშვილმა ჩვენი არქივის ძვირფასი ნაწილი, რომელიც დამოუკიდებლობის ხანის ოფიციალურ თუ კერძო პირთა წერილებს შეიცავდა: – მიწერმოწერას, საჩივრებს, სხადასხვა ხასითის მოხსენებებს და საერთოდ ყველა იმ მასალას, რომელთაც ასლები არ გააჩნია და ძნელად აღსადგენ სურათს წარმოადგენენ ქვეყნის მაშინდელი შინაური ჭირვარამისა. მაშინ როდესაც, ამერიკაში დაცულ დოკუმენტთა უმრავლესობის ასლები, უცხოეთის არქივებშიც ინახება. ამ ვანდალიზმს ისინი მოწმეთა თვალწინ არ ჩაიდენდნენ, შეგნება რომ ჰქონოდათ –რას ჩადიოდნენ.

ძვირფასო ჩემო ლოლა! გუშინ მივიღეთ თქვენი წერილები და რომ იცოდე რა სიხარული გამოიწვია მაგ წერილებმა უფრო გრძელ და ვრცელ წერილს მოიწერებოდი. როგორ ატარებ დროს, ვის ხედავ, სად ცხოვრობ, რას ფიქრობ, ნუთუ ცოტაა ეხლა მოსაწერი?! ერთი კი იცოდე თუ პოლიტიკაზე ან საზოგადოდ ეხლანდელ მდგომარეობაზე იწერები გამოგზავნე ეგ ბარათი მხოლოდ საიმედო ხელით, თორემ ჩეკა (ჩრეზვიჩაიკა,–დაწესებულება, რომელიც ინკვიზიციის დროებს გვაგონებს) არ გამოატარებს. მეც ვერაფერს გწერ ხოლმე ეხლანდელ მდგომარეობაზე. იგივე მიზეზის გამო. ბოლშევიკებს ისე მშვენივრად აქვთ საქმე დაყენებული, ისეთი დისციპლინაა მათ ორგანიზაციაში, ჯაშუშობა ისე „იდეალურად“ აქვთ, რომ აი ეხლაც არა ვარ დარწმუნებული, რომ არ იციან ვის ვწერ ეხლა წერილს, არა, ხუმრობის გარეშე, ეხლა რაღაც საშუალო საუკუნოების დროები დადგა, ფეხის გადადგმა არ შეიძლება ნებადაურთველად. მართალია მათი პოლიტიკა საქართველოში სულ სხვაა, ვიდრე რუსეთში, სამხედრო და სხვ. მაგრამ ეს გარემოება გამოწვეულია მთელი ჩვენი ერის მართლა რომ იშვიათი კარგი ყოფა–ქცევით. ყველაზე გადაგვარებული ქართველებიც კი ნამდვილ პატრიოტებად და იმ ჩუმ, მასსიურ ოპოზიციას მიემხრენ, რომელიც არსებობს ეხლა ჩვენ მთავრობის (არ მინდოდა მეხმარა ეს სიტყვა) და მთელის ერის შორის. ხადახან ვნანობ, რომ თქვენ არ ხართ აქ, რომ ჩვენთან ერთად განიცადოთ ის სიძულვილი მათდამი, რომელიც ეხლა გვაერთიანებს ყველას. ვერ წარმოიდგენ როგორ ჩაიარა 26 მაისმა! ჯერ ერთი თვის წინეთ მთავრობის მიერ აკრძალული იყო დღესასწაულობა. მშინ ჩვენ ყველამ გადავწყვიტეთ ეროვნული დროშით გამოსვლა: სტუდენტობამ, მუშების ყველა ორგანიზაციებმა და სხვ. ეს როცა გაიგო მთავრობამ, როცა გაიგო მუშების გადაწყვეტილება მაშინ გამოიცვალეს აზრი. რევოლიუციონურ კომიტებმა გადაწყვიტა რაც შეიძლება მეტი ზეიმით იდღესასწაულოს 26 მაისი, მაგრამ არავითარი ეროვნული ხასიათი არ უნდა ჰქონდეს ამ დღესასწაულს. აკრძალულია რომელიმე დროშის გამოტანა ან გამოფენა, გარდა წითლისა. დღესასწაულის მიზანს უნდა შეადგენდეს განმარტება ფართო მასისათვის თუ რა არის დამოუკიდებლობა ბოლშევიკურ თვალსაზრისით. უნდა ვიდღესასწაულოთ საქართ. განთავისუფლება მენშევიკურ იმპერიალეზმისაგან და სხვ. ამ დადგენილებამ საოცარი ეფექტი გამოიწვია. საერთო კრებებზე გარდაწყვეტილი იყო, რომ ყოველი ნამდვილი ქართველი და ყოველი სამშობლოს მისიყვარული ადამიანი სახლიდან არ გავა 26 მაისს. მართლაც რომ 26 მაისს (რუსების, სომხების, და ურიების გარდა ა რ ა ვ ი ნ იყო ქუჩაში. რუსული ჯარები დადიოდენ, რუსები ზეიმობდენ, რუსები ლაპარაკობდნენ და ის „ქართველები“, რომლებსაც ჩვენ რუსებს ვეძახით. მახარაძე და სხვ. რა თქმა უნდა მოღალატეები აღმოჩნდნენ. გრიგოლ რობაქიძე არამცთუ დასეირნობდა ქუჩებში, სიტყვაც კი წარმოსთქვა. ვერ წარმოიდგენ რანაირი საზიზღარი გახდა. დანიშნულია რაღაც კომისიის გამგეთ და თვითონაც ბოლშევიკი გახდა. 26 ს გამოვიდა აგრეთვე შევარდენი. დიდი ბრაზი გამოიწვიეს ამით ხალხში და მთელ საზოგადოებაში. არ ვიცი კი რატომ ჩაიდინეს ეს სისაძაგლე. მგონი მთავრობამ დააძალა. შენ უკვე გაიგებდი როგორ იქცევიან თედო ღლონტი და შ. ნუცუბიძე. ეხლა ფედერალისტების კონფერენციაზე წყდება საკითხიმათი პარტიიდან განდევნის შესახებ. ორივე დღეს თ. ღლონტმა დილის 9 ს. საღამოს 4½ საათამდე განუჩერებლივ თავის და შ. ნუცუბიძის გასამართლებლად. მაგრამ ყველა ისეა იმათ წინააღმდეგ, რომ მათი გაშავება და გან–

(ილაპარაკა)

დევნა“ აუცილებელი და ცხადია. ჩვენ ხან იმედი გვეძლევა, ხან სასოწარკვეთილებაში ვარდებით, სრულიად არაფერი ვიცით თუ რა ხდება არამც თუ მთელ მსოფლიოში, თვით თბილისშიაც კი. ვისმეს დახვრეტასაც კი შემთხვევით თუ გაიგებენ ერთი–ორი თვის შემდეგ, ისე აქვთ დაცული დისციპლინა ბოლშევიკებს. ყველა დიდი შენობები დაკავებულია ჯარებით. ქალაქის რამოდენიმე ადგილას ჩეკა არის, სადაც კონტრრევოლუციონერები არიან მოთავსებული, ძირს, სარდაფში კი ხდება მათი დახვრეტა. ამისთვის მათ სპეციალურად ჰყავთ მოყვანილი ჩინელები(უსაზიზღრესი პირუტყვები), ვინაიდან რუსები უარს ამბობენ. ხოშტარიას სახლში ხელოვანთა კავშირი არის. სიმონიკა იქ მსახურობდა და ელიჩკა თიკანაძე და მე ხშირად დავდიოდით იქ. ახლა სიმონიკა აღარ მსახურობს, რადგანაც ამ თვის შუა რიცხვებში სოფელში მიდის. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით. ჩვენთან ხშირად მოდის და ჩემ „კამპანიასთან“ ერთად სასეირნოდ დადის ხოლმე. ხვალაც ვაპირებთ ელიჩკა, ელისო, ქეთო მდივანი, ნაკაშიძეები, ბაქრაძეები, სიმონიკა და სხვა, ფუნიკულიორზე წასვლას.

აქ მოდის ხმები (მგონი ჭორია), რომ ოსმალეთთან ომია, რომ ანტანტამ გამოგზავნა ჯარი და ბათომს უახლოვდება ამის აზრიც კი გვაგიჟებს ჩვენ, მაგრამ განხორციელდება?. . სიძვირე აქ წარმოუდგენელია. ერთი გირვანქა პური 3000 ღირს. შაქარი კარგა ხანია თვალითაც კი არ გვინახავს,რადგანაც 30000 მ. ღირს. ფეხსაცმელები თეთრები 200 000–250 000. ჩექმები 300 000მ. ჩულქები 100 000 და სხვ. როგორ მოგწონს? საპონი ხელის არ იშოვება მთელ საქართველოში. სარეცხის საპონი კი ერთი ნაჭერი ღირს 30000 მან. ჯამაგირებს კი იძლევიან 15000 მანეთს. ჩვენ შედარებით სხვებზე კარგად ვართ, მაგრამ ხალხში შიმშილია და შემოდგომას კი თუ ეს წვიმები არ გათავდება უთუოდ ნამდვილი შიმშილი იქნება. გირჩევთ ჯერ ნუ მოდიხართ ჩემო ლოლა. პირადათ შენი ნივთები ევას აქვს, აგრეთვე როგორც ვერცხლეულობა. გვეშინია რომ სულ გაგიყიდის. მოსწერე წერილი თუ გინდა რომ რამე გადაგირჩეს, რომ ვისმეს ჩვენგანს გადმოსცეს. მაშინ უკეთესად შეინახება. ბიძიას წიგნები საბიბლიოთეკო კომისიის განკარგულებით ჩაბარებული აქვს სიით დათას, ისე რომ დათა პასუხს აგებს კომისიის წინაშე. (კომისიის თავმჯდომარე ბიძიას კარგი ნაცნობია, გვარი დამავიწყდა). კომისია კი ბიძიას წინაშე. მე ძალიან გართული ვარ. ფრიდა ჩერქ. (მოკითხვას და სალამს გიგზავნის)და მე ვწერთ ინგლისურ-ქართულ ქრესტომატიას და უნივერსიტეტი გამოსცემს. მას. მთელი ჯაფა მე დამაწვა, როგორც გადაწერა, ლექსიკონის შედგენა და სხვ. ძალიან კი მიხარიან, რადგანაც მუშაობა თუ სასიამოვნო არ არის, შედეგები ხომ კარგია. ჯერ კი ნუ ეტყვი ამას ვანდას. ელისო და მე ძალიან დავმეგობრდით. აგრეთვე ელიჩკა თიკანაძეც, რომელიც ეხლა ჩემთან ერთად წიგნთ-საცავში მსახურობს. ხშირადაც დავდივართ ერთმანეთთან. ჩვენ სამნი და სიმონიკა და კოტე ბაქრ. ძალიან ხშირად ვართ ერთად. სიმონიკას შენ არამც თუ დაავიწყდი, პირიქით სულ შენზე ფიქრობს. გიგოს ქაღალდები სულ სიმონიკამ დაალაგა ისეთი სიყვარულით და მოწიწებით, რომ მე კიდევ უფრო მომეწონა. ზოგი წიგნი თქვენ(ი) ბიბლიოთეკიდან იმას აქვს. არა უშავს რა? ძალიან მიხარიან, რომ ყველაფერი ის, რასაც ბიძია გიგო აფასებდა და უყვარდა, გადავურჩინეთ.

ყველა შენი ნაცნობ–მეგობრები გულითად სალამს გიძღვნიან, ქალიშვილები კი გკოცნიან. ყველა სამსახურშია, რადგანაც პურს და„ “ს მხოლოდ იქ იძლევიან. ლიზიკო მაჩაბელი ირთავს ილ. მახარაძეს. გოგია მერკვილაძე ვიღაც კატო საყვარელიძეს ირთავს. ანეტა მაზნიაშვილიც (მისი მამა გაწითლდა, როგორც კი კარგი ადგილი მიიღო ბოლშევიკებთან)თხოვდება. მათიკო ძალიან გასუქდა და ორ თვეში უნდა ბავშვი ეყოლოს. მე თითქმის არ ვხედავ იმას. ნინა ვაჩნაძეს სრულებით დავშორდი და ცოტა არ იყოს მწყინს. საერთოდ ჩემი კამპანია დაიშალა და მის მაგიერ აღსდგა ახალი: ელისო, ელიჩკა, თიკ.ნინო დიასამ. ქეთო მდივ. (ხან და ხან), სიმონიკა, კოტე, კ. გამსახურდია და. . . აკაკი შანიძე, რომელმაც თავის სიმპატიები (ქეთო ჯაფარიძის მიმართ) ჩემზედ გადმოიტანა. ახლა. თამარა ღოღობერიძე სრულიად მორჩა, მაგრამ მაინც ცოტა პირუტყვის გამომეტყველება დარჩა სახეში. ნიკუშასი არაფერი ვიცი. კარგად არის და მსახურობს. შ. ამირეჯიბი მოდის ხოლმე ჩვენთან წიგნთ–საცავში და გადავცემ შენ სიტყვებს. ძალიან გაეხარდება. სულ შენ ამბავს კითხულობს. ჩვენთან მამას კაბინეტში ვიღაც სტუდენტი დადგა. წარმოიდგინე, რომ საშინლად მოეწონა თამრიკო და „პრედლაჟენიეც“ კი გაუკეთა. ჩვენ სიცილით ვკვდებით, როცა ამას ვიგონებთ. მამიდა ძალიან გახდა საწყალი, ძალიან შეწუხებულია, რომ შენ აღარ გხედავს, კარგი იქნება თუ წამოვა მანდ. რა თქმა უნდა ვერას კოტესთან და მიტოსთან უსიამოვნება მოუვიდა, ისე რომ მერმის

საქაშნელები ისევ საქაშეთში დარჩებიან. ელიკო ჩვენთან იქნება. მგონი ყველა ჩვენები სოფლებში წავიდენ. თიკა ხვითში, ამალია საქაშეთში, სასირეთში ვერ წავალთ, რადგანაც ჩვენი სახლი გლეხებმა დაიჭირეს და ეხლა იქ ყვავილი გაჩნდა. აქ კი საძაგელი დარებია სადილამდე, სიცხისაგან ვიხოცებით, საღამოთი კი ყოველდღე წვიმს. აბა მეყოფაამდენი წერა, თუ მოგივა ეს წერილი იმედია გაარჩევ. ძალიან მეჩქარებოდა. ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა ნამდვილი წერილის გამოგზავნა შეიძლება. თუ ორ ერთნაირ წერილს მიიღებ ნუ გიკვირს. არ ვიცი მიიღებ თუ არა და რამოდენიმეჯერ გწერ. კოტე ბაქრაძე დამცინისდა მირჩევს რემინგტონზე რამოდენიმე ცალი დავბეჭდო და ისე გიგზავნო. . დათა როგორ არი? მოეწყინა მანდ? უთხარი რომ ვაჭრობის საქმე აქ ცუდათაა და სპეკულიანტებს ხომ ჰკლავენ ყოველ დღე. მათ ქონებას რეკვიზიციას უწევენ და კომუნისტებს ურიგებენ. საერთოდ კომუნისტებს ძალიან ბევრი უფლებები აქვთ,მახარაძეს სოლოლაკში მშვენიერი სადგომი აქვს. ე. ი. მენშევიკების ისტერია მეორდება, მხოლოდ ამათ უფრო აქვთ დისციპლინა. დაცული. ეხლა კავკასიაში აურაცხელი რუსების ჯარებია საზღვარზე. ყველა სანატორიუმები , საგარაკო ადგილებში , ყველა სახლები სოფლებშიჯარების მიერ არის დაჭერილი. არ ვიცით კი რაშია საქმე. ამბობენ რომ იწყება სერიოზული ომი. ჯერ ჩვენები არ გაჰყავთ ჯარში. გვარდიას არ ენდობიან. „თუ კი თავის სამშობლო ვერ დაიცვეს, ჩვენ რას დაგვიცავენო". ინტელიგენციას არ ენდობიან, რადგან ღალატის ეშინიათ. ბევრს, ბევრს გკოცნი ჩემო ძვირფასო, შენ, ბიძიას, დათას. გაუფრთხილდი შენ თავს. მორჩი და ისე ჩამოდი. მოიწერე სიმათლე როგორ ხარ, სიცხე ხომ აღარ გაქვს ხოლმე? საერთოდ მოიწერე ვრცელი წერილი და როცა შემთხვევა მოგეცემა გამოგზავნე. დიდი, დიდი მადლობა მშვენიერი შპილკებისათვის. თუ ფული გქონდეთ და არ გაგიძნელდებათ ერთი წყვილი შავი წინდა გამომიგზავნე. გკოცნი. ნინო.

ილია კუჭუხიძე.

სამაგიდო რვეულიდან – მოგონების წიგნი. 1985 წელს გამოცემული ეს წიგნი თითქმის ავტორის ბიოგრაფიაც არის. წიგნი ძალიან ადვილად და საამოდ საკითხავია – მისი შინაარსის მრავალფეროვნობისა და თხრობითი ხასიათისა გამო. ვფიქრობ, ყველაზედ საინტერესო და ფასეული ის ნაწილია, სადაც მოთხრობილია საბჭოური პერიოდი მისი ცხოვრებისა. იმიტომ რომ თანამედროვე ქართული მემუარული ლიტერატურა უთუოდ თავდაჭერით და ავტორთა ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდთა თუ დეტალთა მოუხსენებლად იწერება. ეს კი აქ მყოფებზე არ ვრცელდება. მიუხედავად ამისა, წიგნიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ავტორი აქ ყოფნის მიუხედავად , ვერ განთავისუფლებულიყოს ამ შეზღუდვისაგან. ეს მგონი ფსიქოლოგიურ მიზეზებით უნდა აიხსნას. ავტორს ვერ მოუხერხებია მთლად „მოკვეთილიყო" თავისი საბჭოური წარსულიდან და ახალგაზრდა ილია კუჭუხიძეს მოპყრობოდა ვით უცხო პირს–რაც , უნდა ითქვას, არ ადვილია. ეს კი სავალალოა რადგან ის ტკბილი ცოტა არ იყოს „მტირალა" მოხუცი მწერალი , რომელსაც დღეს ვიცნობთ და ჩვენ თვალწინ მოხუცდა, სულ სხვა კაცია, ვიდრე საბჭოურ კარიერის გზაზე საკმაო მოხერხებით გზიმკვლევი ახალგაზრდა, რომელმაც რუსთველის თეატრის სამხატვრო საბჭოს კარებსაც კი მიაგნო. ხოლო წიგნიდან არა სჩანს რა გარემოებანი უწყობდნენ ხელს მის ასეთ კარიერას. ხომ უდავოა რომ სამხატვრო საბჭოში ახალგაზრდა გამოუცდელი კაცი ანგელოზის ფრთებით ვერ შეფრინდებოდა სარკმელიდან. მიუხედავად ამ შენიშვნისა წიგნი საინტერესო დოკუმენტია საბჭოური ცხოვრების შესწავლისათვის. ესაა ახალგაზრდა საბჭოელის სულ აღმავალი გზა კარიერისა, მხოლოდ ომით გადაჭრილი. თორემ სამხატვრო საბჭოს დარბაზიდან ერთი კარი კულტურის მინისტრის კაბინეტშიც შედის. და თუ ითქვა : „ყოველი ჯარისკაცი თავის ზურგჩანთაში მარშალის კვერთხს ატარებსო", რატომ არ მოელოდა მინისტრობა კუჭუხიძესაც.

პატარა შენიშვნები.

ბატონ ლ. ფაღავას – როგორც რედაქტორს , მაშასადამე პასუხისმგებელს. „დროშის" 107ნუმერში ბ. ბრიშვილის წერილის 59 გვერდზე მოცემულია სინონიმები სიტყვისა „ხამს" .ესენი ყოფილან: ახლობელი, განუყრელი, განუყოფელი, უერთგულესი და გულითადი მეგობარი. როგორც კონტექსტიდან სჩანს, წერილის ავტორი რომელიღაც ლექსიკონს ეყრდნობა „ამის ცოდნისათვის ბევრი არ არის საჭირო გარდა ლექსიკონში ჩახედვისაო" ამბობს იგი. ჩვენ ძალიან ვთხოვთ ბატონ ლევანს მიგვითითოს იმ ლექსიკონზე, რომ საშუალება გვქონდეს მივწეროთ და ასეთი, უთუოდ ტექნიკური, შეცდომა გაასწორონ. სხვა უვიცებიც არ წამოეგონ და არ გაბრიყვდნენ.

ბატონ კარლო ინასარიძეს. ინასარიძე ჟურნალის იმავე რვეულში ათავსებს წერილს სათაურით : „ვაი დამარცხებულებს“ . სრულიად ნორმალურია რომ საქვეყნოდ ცნობილი რომელიმე გამოთქმა ჟურნალისტმა თავისი წერილის სათაურად გამოიყენოს. მაგრამ როცა იგი ამ გამოთქმის წარმოშობას არ იცნობს , რა საჭიროა სხვათათვის „სწავლება“ და ხალხის შეყვანა შეცდომაში. რამეთუ ეს გამოთქმა ,რომელიც რომაულმა წყაროებმა შემოინახა და დღეს საყოველთაოდ ცნობილია, მათ არ ეკუთვნით. (როგორც ბატონი კარლო გვმოძღვრავს). ეს სიტყვები რომაელებს მიახალა რომში შემოჭრილ ბარბაროსთა ბელადმა - დადებული ხარკის ოქროს აწონვის დროს და სასწორზე თავისი მახვილიც დააგდო. ამ ისტორიის მოთხრობის ადგილი აქ არ არის. ეს ბატონი კარლოს ვალია. გაიგოს და ბოდიშის მოხდით თითონვე გამოასწოროს.

ერთი შენიშვნა ბატონ წერეთელსაც-ცოტათი სხვაგვარი ხასიათისა. ბ. წერეთელმა თავის ჟურნალში მოათავსა გაზ. კომუნისტის კორესპონდენტის მიერ მხილებულ ცნობებზე დამყარებული აღწერა , საქართველოს და საკუთრივ, ოსეთის სასურსათო მაღაზიებში სურსათ-სანოვაგის სინაკლულისა. იგი გვეუბნება რომ დღესასწაულის დღეებში მომხმარებელთათვის ნიგოზი არ იშოვნებოდა და ცხინვალის მაღაზიებში მხოლოდ კარტოფილი იყო , ისიც ცუდი ხარისხისათ. აქამდი ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ამ კარტოფილის ისტორიაში მას ილია შემოჰყავს და წერილი მთავრდება თეატრალურ წამოძახილით სიტყვებისა , რომლებითაც ბოლოვდება „მგზავრის წერილები“ :
როდემდის. ოხ, როდემდის , როდემდის ? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო მომეც ამისი პასუხი !
აქ ცხადია მხოლოდ მდარე სტილთანა გვქვს საქმე და სხვა არაფერი, რასაც კაცს ვერც უსაყვედურებ. კოჭლს ვინ ეტყვის რადა ჰკოჭლობ. მდარე სტილითაც შეიძლება დაცვა მართალი აზრისა. როგორც კოჭლსაც ძალუძს არჩევა სწორი გზისა. მაგრამ მდარე თუ დახვეწილი სტილი, არცერთი არ უნდა აიაფებდეს და მით ჰბღალავდეს სახელს ისეთი კაცისა, რომელიც ყოველი შეგნებული ქართველის და რა თქმა უნდა წერეთლისაც , საამაყო და სალოცავია . ილია ოხრახუში ხომ არ არი რომ ყოველ კერძს მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი.

რას გვაფიქრებინებს ჩვენი ჟურნალისტების ეს აბრუნდები. მე მგონია, ინასარიძე ფილოსოფიის დოქტორისათვის შესაფერად გამოსვლის ცდამ წააბორძიკა. ბერიშვილმა, მოდი ვნახოთ ვენახის დონედან რუსთველამდი მოინდომა ახტომა და რა მოუვიდოდა. წერეთელს დიდი მარცხი არ მოსვლია. მას არ ეყო (ამ შემთხვევაში) ლიტერატურულ კულტურის მარაგი — რადგან სტილი, დიდად დამოკიდებულია ამაზე. თორემ მას ნიჭი არ აკლია. ენერგია ხომ ათი კაცისა აქვს. არც „ ლატაკი აზროვნებისაა“ — ეპიტეტი რომლითაც მან მე დამაჯილდოვა.

სამგლოვიარო.

ჭირისუფალთა და მეგობართა მიმართ სამძიმრის თქმით ვაქვეყნებთ 1985 წლის შემდეგ გარდაცვლილ ჩვენ თანამემამულეთა სიას .
ანტონ ბაიდურაშვილი ; არისტო გველესიანი ; იასონ იორდანიშვილი ; ერმალო ყავრელიშვილი; გრიგოლ წერეთელი ; ჟან მიშელ კრავეიშვილი ; მინადორა ხოშტარია ბაგრატიონისა ; გიორგი დადიანი ; ლუბა აბდუშელი ; აღათი გორდელაძის ასული ; დიმიტრი ჯორჯაძე ; სერგო დონდუა ; მერი შერვაშიძე ერისთავისა ;ფელიქს ვარლამიშვილი ;კონსტანტინე (კაკო) ალშიბაია ; ბარბარა კეკელიასი ; ნინა რომანიშვილისა ;სერგო გაბუნია ;ბ. დ. ზედგინიძე ; დიმიტრი უხრუგუნაშვილი; მარია ტოორენბერგი გოგრიჭიძისა ; ფიორგი ყიფიანი .
ტარასი შანავა. არჩილ გოჩიაშვილი.

ჟურნალის ფონდი.

ერმალო ყავრელიშვილი 1000 / გივი ზალდასტანიშვილი 1000 / ნიკოლოზ მამულაშვილი 500
შოთა ბერეჟიანი 300 / აკაკი ბარკალაია 300/ ვალერიან სანგულია 350/ ირაკლი ოთხმეზური150
გივი გაბლიანი 155/ ლადო ბაბიშვილი 155/ ვილი ემხვარი 100/ არჩილ მჭედლიშვილი 100
კაკი რამიშვილი ოცი ინგლისური გირვაქა. ულრმესი მადლობა რედაქციისაგან.

DIRECTEUR O. PATARIDZE EDITION HORS COMMERCE.
ADRESSE D EDITEUR
MICHEL KAVTARADZE 61 CH DE TABOR 91310 LINAS T. 49 01 47 81
სარედაქციო კოლეგია : გივი გაბლიანი. გივი ზალდასტანიშვილი. გულნარა პატარიძე ურატაძისა. მიხეილ ქავთარაძე(ტექსტის და გამოცემის რედაქტორი).

ა-623